# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№49 (9880) 2025 წლის 4 აპრილი, პარასკევი


**„ქართული ოცნება“ იმდენად მოძლიერებულია, მასზე თავდასხმა დღეს კონტრპროდუქტიული იქნებოდა, სწორედ ამიტომ რჩება ახალი ადმინისტრაცია დუმილის რეჟიმში**

## „ფარული დასი“ მგლობას არ იშლის!




2-3



3

## ბართლომეოსი „დიპ სთეითის“ ნაწილია

საქართველოში შეუმჩნეველი არ რჩება კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოლიტიკა

გოგიტა მურცხვალაძე:

## სანდრა რულოვსი შვილის გაყიდვაში 15000 დოლარს მთავაზობდა



5

ჯუმბერ სარდლიშვილი:

## ევროპა საფრთხეშია!

მე ვთხოვ საქართველოს ხელისუფლებას, გაითავისოს პრობლემა და სახელმწიფოში აიკრძალოს: ფაშისტური, სოციალისტურ-მარქსისტული და ლიბერალურ-მარქსისტული იდეოლოგიები, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მოქმედი ბოროტება. ჩვენ არ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, სანამ ევროპა არ დაამარცხებს ნეოლიბერალურ ბოროტებას. 6



## მხედრიონ-გვარდიას გადაურჩით, კეზერაშვილ-ხაზარაძეს კი — ვერა!



11

EUROPOL

## ევროპოლმა მსოფლიოში ყველაზე დიდი პლატფორმა დახურა, სადაც ბავშვების პორნოგრაფიული მასალა ვრცელდებოდა!

4



## ვიდრე გენერლები დუმან, ერდოღანს არაფრის არ ეშინია!..



8

„სომხეთი რუსეთსა და ევროკავშირს შორის: **ფაშინიანის ტაქტიკური პრაგმატიზმი**“


WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა

## ფრთხილად, „ოცნების“ ხელისუფლებავ!

ზაზა შათირიშვილი:

# „ქართული ოცნება“ იმდენად მოძლიერებულია, მასზე თავდასხმა დღეს კონტრპროდუქტიული იქნებოდა, სწორედ ამიტომ რჩება ახალი ადმინისტრაცია დუმილის რეჟიმში



„ყურადღებით ვაკვირდები ტრამპის არჩევამდე და არჩევის შემდეგ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და მინდა, როგორც საზოგადოებას, ისე ხელისუფლებას ამ მოვლენების ჩემი პირველი ანალიზი შევთავაზო.




# „ფარული დასი“ მგლოვიარეს

**პირველ რიგში, აშკარაა, რომ გლობალური ომის პარტია, იგივე „დიფ სთეითი“, ტრამპის ხელით, უკრაინის ომის პროვოცირების ბაიდენისთვის გადაბრალებას და სამწლიანი ომის დასასრულისკენ წაყვანას ცდილობს. ომის დასრულების სურვილს მარტივი მიზეზი აქვს – გლობალურმა ომის პარტიამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს, რომელიც ამ ომის პროვოცირებისას ჰქონდა დასახული. ეს მიზანი სულაც არ იყო მოწინააღმდეგის დამარცხება, რაც რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის ფლობის პირობებში სრულიად უტოპიური განზრახვა იქნებოდა. მარიონეტული ომის, როგორც მას თავად ტრამპი უწოდებს, მთავარი მიზანი რუსეთში ხელისუფლების შეცვლა, ქვეყნის სათავეში აგენტურის მოყვანა და რუსეთის ჩინეთთან დაპირისპირება იყო, რასაც ერთპოლუსიანი სამყაროს კონცეფციის რეალიზებისათვის უნდა მოემზადებინა საფუძველი.**

ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ ომები, რომლებსაც მხოლოდ ბოლო ათწლეულების მანძილზე მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ასობით მილიონი ადამიანის კეთილდღეობა შეეწირა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტია. თუმცა, სინამდვილეში, სისხლიანი ომების ინიციატორი არა აშშ, არამედ გლობალური ომის პარტიაა, რომელიც „ბლექროკს“, „ვანგარდს“, „სთეით სთრითს“ და სხვა უმსხვილეს კორპორაციებს, მათ უკან კი 15-მდე ოლიგარქიულ ოჯახს მოიაზრებს, რომლებიც ქონებას ასწლეულების მანძილზე ქმნიდნენ და დღეს ტრილიონობით დოლარის აქტივებს მართავენ. ოლიგარქიული ოჯახების შემოსავლის ძირითადი წყარო ომების წარმოებაა, რომლებსაც ისინი ოსტატურად გეგმავენ და ახორციელებენ და ამიტომ გლობალურ ომის პარტიად მათი მოხსენიება სრულიად მართებულია. ამ თემას, ოჯახების გვარების დაკონკრეტების ჩათვლით, მოგვიანებით, ცალკე წერილში განვავრცობ. ამ ოჯახებისთვის ამერიკაც, ისევე როგორც ევროპა, მხოლოდ ინსტრუმენტია, რომელსაც, თუ დასჭირდათ, ზუსტად ისევე ცივსისხლიანად გასწირავენ, როგორც დღემდე არაერთი ქვეყანა გაუწირავთ.

**მოგვიანებით, ცალკე წერილს მივუძღვნი ილონ მასკსაც და იმის ანალიზს, თუ რატომ შემოიყვანეს ყველაზე მდიდარი ბიზნესმენი ასე აქტიურად სახელმწიფოს მართვაში. ილონ მასკის როლი ყველაზე საინტერესო და განსაკუთრებულია და მისი გააქტიურება გრძელვადიან სტრატეგიას ემსახურება.**

**გლობალური ომის პარტია დაახლოებით ერთი წლის წინ დარწმუნდა, რომ რუსეთში ხელისუფლების შეცვლას ვერ ახერხებდა და დაგეგმა ის სცენარი, რომლის მომსწრენიც ახლა ვართ. „დიფ სთეითმა“ არათუ რუსეთი ვერ ჩამოშალა და ჩინეთს ვერ დაუპირისპირა, არამედ უკუშედეგიც კი მიიღო და, „ბრიქსის“ სახით, მეორე პოლუსის გაძლიერების რისკის წინაშე დადგა, რაც მის სტრატეგიას თავდაყირა აყენებს. გაძლიერდა კავშირი რუსეთსა და ჩინეთს შორის. გამყარდა რუსეთისა და ირანის სტრატეგიული პარტნიორობაც, რაც გლობალური ომის პარტიისთვის არანაკლებ შემაშფოთებელია.**

მიმდინარე მოვლენების ფონზე სერიოზულად დასუსტდა დოლარის პოზიციები – მრავალმა სახელმწიფომ დოლარიდან გასვლა და ბონდების გაყიდვა დაიწყო.

მთლიანობაში, რუსეთთან ურთიერთობების გადალაგების გადაწყვეტილება, რაც რუსეთისთვის სანქციების შემსუბუქებასაც გულისხმობს, „დიფ სთეითს“ სამმა ძირითადმა ამოცანამ მიაღებინა. ეს ამოცანებია:

**1) რუსეთ-ჩინეთისა და რუსეთ-ირანის კავშირების შესუსტება;**

**2) დოლარის გადარჩენა;**

**3) „დიფ სთეითის“ რებრენდინგი და აშშ-ს, როგორც ზესახელმწიფოს, იმიჯის აღდგენა.**

ბაიდენის ოთხწლედის დროს „დიფ სთეითი“, პრაქტიკულად, საკუთარი თავის ლეგალიზებას ცდილობდა. ყველამ იცოდა, რომ ამერიკას არა ბაიდენი, არამედ არაფორმალური ძალა მართავდა. ჩავარდნილი სცენარისა და ახალი რეალობის პირობებში კი გლობალური ომის პარტია დადგა აუცილებლობის წინაშე, აშშ კვლავ ზესახელმწიფოდ წარმოაჩინოს, რომელსაც არა მის მიერ მართული „მძინარე ჯო“, არამედ დემოკრატიულად არჩეული ტრამპი მართავს. პირველადი სცენარის ჩავარდნის პირობებში გლობალური ომის პარტია შეეცდება, შედეგი ტრადიციული მეთოდით, ამერიკის ხელით მიიღოს და ერთპოლუსიანი სამყარო ზესახელმწიფოს ეგიდით ჩამოაყალიბოს. ამისათვის კი საუკეთესო საშუალება იმ ყალბი აღქმის შექმნაა, რომ ტრამპი „დიფ სთეითს“ ამარცხებს.

სინამდვილეში, ტრამპი ზუსტად ისევეა იძულებული, დაექვემდებაროს გლობალურ ომის პარტიას და „დიფ სთეითს“, როგორც ბაიდენი. ვინც თავის დროზე დაუკვეთა კენედის მკვლელობა, მისმა შვილიშვილებმა დაუკვეთეს საპრეზიდენტო კამპანიის დროს ტრამპის მკვლელობა. მართალია, მიზანს სრულად ვერ მიაღწიეს, თუმცა ამ უკანასკნელს მკაფიოდ მიანიშნეს, თუ ვინ არის „სახლში უფროსი“. შესაბამისად,

**ტრამპის სიტყვები: „ან ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს“, ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას“ ისეთივე ფუჭია, როგორც იმის მტკიცება, რომ „დიფ სთეითი“ თურმე ბაიდენი, ბლინკენი და სალივანი ყოფილან. რეალურად, ეს ადამიანები არა მმართველები,**

საქართველოს რესპუბლიკა

**არამედ მართულები და „დიფ სთეითის“ დაკვეთების უბრალო შემსრულებლები იყვნენ. იგივე უნდა ითქვას USAID-ზე, NED-ზე, „ამერიკის ხმაზე“, „რადიო თავისუფლებაზე“ და სხვა ინსტიტუტებზე, რომლებიც „დიფ სთეითს“ კი არ განეკუთვნებოდნენ, არამედ მისი ინსტრუმენტების ფუნქციას ასრულებდნენ.**

ომის – ბაიდენისთვის, ხოლო რევოლუციების USAID-ისა და NED-ისთვის გადაბრალება მხოლოდ „დიფ სთეითის“, ანუ რეალური მმართველის მიჩქმალვას და მის რებრენდინგს ემსახურება.

აშშ დღესაც გლობალური ომის პარტიის მთავარი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მისი ჩამოშლა გლობალური ომის პარტიის ჩამოშლასაც ნიშნავს. იმ ფონზე, როდესაც ამერიკულ ეკონომიკას და დოლარს სერიოზული პრობლემები ემუქრება, „დიფ სთეითს“ ამერიკის იმიჯის გაძლიერება სასიცოცხლოდ სჭირდება. თუმცა, ბუნებრივია, რებრენდინგის პირობებშიც, **მგელი მგლობას არ მოიშლის და „დიფ სთეითი“ თავისი მილიტარისტული და რევოლუციური გეგმების განხორციელებას არ შეაჩერებს.** მაგალითად, უკვე გამოიკვეთა USAID-ის ალტერნატივა, რომელიც მომავალში, ევროპულ ფონდებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციების წახალისებით იქნება დაკავებული.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, სადაა ამ ყველაფერში საქართველოს ადგილი. ვხედავთ, რომ დღეს გლობალური ომის პარტია საქართველოს წინააღმდეგ მთავარ იარაღად ევროპას იყენებს, რომელიც, ამავდროულად, მისი მთავარი მსხვერპლიცაა. სიცრუის ოსტატები ტრამპის ადმინისტრაციის ხელით ევროპას აბრალებენ ყველა იმ დანაშაულს, რომელიც „დიფ სთეითმა“ ჩვენს კონტინენტზე ჩაიდინა. უკრაინას, რომელიც აომეს, ძალიან მალე ცივსისხლიანად მიატოვებენ და მის ენერგოსისტემას, სასოფლო-სამეურნეო მიწას და სხვა რესურსებსაც დაეპატრონებიან. აშშ-ის იმიჯის გასამყარებლად გამოაცხადებენ, რომ მან,

# არ იშლის!

**უკრაინაში ჩადებული საეჭვო 350 მილიარდი დოლარის სანაცვლოდ, უკან 500 მილიარდის ღირებულების მინერალები მიიღო, რომლის ღირებულება, სინამდვილეში, ამ თანხის მეათედიც არაა. ამით აჩვენებენ, რომ ამერიკა ნამდვილი ზესახელმწიფოა და კი არ წააგო, არამედ უკრაინაში ჩადებული ფული პროცენტებით უკან დაიბრუნა.**

ამასობაში, უკრაინაში ომის წაგებას ევროპას გადააბრალებენ და „დიფ სთეითის“ ევროპელი მარიონეტები – მაკრონი, ფონ დერ ლაიენი, სტარმერი და სხვები ამ მარცხს დიდი რუდუნებით აიღებენ თავიანთ თავზე. გარდა ამისა, ევროპის მილიტარიზაციის გეგმასაც მოაწერენ ხელს, რითიც მრავალ მილიარდს „დიფ სთეითის“ კუთვნილ სამხედრო ინდუსტრიაში გადაქაჩავენ და ევროპის ეკონომიკას საბოლოოდ მიიყვანენ კოლაფსამდე.

ვიქტორ ორბანის მარჯვენა ხელი კვლავაც სანქცირებულია და ტრამპის ადმინისტრაცია მისი სანქციის გაუქმებას არ ჩქარობს. ბიძინა ივანიშვილს ბაიდენის ადმინისტრაციამ სანქციები დაუწესა რუსეთთან პარტნიორობის საბაბით, დღეს კი ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთთან თანამშრომლობით თავად იწონებს თავს, თუმცა პარტნიორთან პარტნიორობაში დადანაშაულებულ ივანიშვილს სანქციებს არ უხსნის. „მაგნიტსკის სიაშია“ შეყვანილი საქართველოს ვიცე-პრემიერი და ტრამპის ადმინისტრაცია არც ამ აბსურდის გადახედვისთვის იცლის. ევროპას ადანაშაულებენ რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების უკანონოდ გაუქმებაში, თუმცა დაჩაგრულ კანდიდატს მაინც არ აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და დაჭერასაც კი უპირებენ. საინტერესოა, რატომ არ დაასანქცირა ტრამპის ადმინისტრაციამ არავინ რუმინეთიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნამდვილად აბსურდულად მიაჩნია? ერთმანეთის იდენტური სცენარებით გრძელდება აქციები სერბეთში, სლოვაკეთში, თურქეთში. საქართველოშიც ქუჩაში დაგვიტოვეს რამდენიმე ასეული „დიფ სთეითის“ აგენტი. ეს ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ სინამდვილეში არც არაფერი შეცვლილა და ტრამპის ადმინისტრაციის ხელით „დიფ სთეითი“ ყველა იმ მტრულ საქმიანობას აგრძელებს, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის ხელით იყო დაწყებული.

აშკარაა, რომ „დიფ სთეითი“ არც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის დათმობას აპირებს და მასთან ბრძოლაც მხოლოდ მოჩვენებითია. ახალი ადმინისტრაცია აქცენტს მხოლოდ გენდერის თემაზე და ტრანსგენდერებზე აკეთებს, რაც პრობლემის მხოლოდ მცირე ნაწილია. ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ აღიარეს ბანალური ჭეშმარიტება, რომ „კაცი კაცია და ქალი ქალი“, თუმცა, ისინი არცერთხელ არ დაპირისპირებიან ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და სხვა მოვლენებს, რომლებიც სამყაროს ფსევდოლიბერალურმა იდეოლოგიამ მოახვია თავს. გენდერისა და ტრანსგენდერების თემასაც „დიფ სთეითი“ ევროპაში ინახავს და კიდევ უფრო აქტიურად აღვივებს.

პრობლემებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ტრამპის ადმინისტრაცია საუბრობს, საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ 3 წლის წინ ალაპარაკდა, რაც მათთვის, ობიექტურად, საინტერესო უნდა ყოფილიყო. თუმცა ვხედავთ, რომ ახალი ადმინისტრაცია საქართველოსთან დაკავშირებით სრულ დუმილს ინარჩუნებს. ამ დუმილს ერთადერთი ახსნა აქვს: „დიფ სთეითმა“ არ იცის, რა უნდა გააკეთოს საქართველოსთან მიმართებით.

**„ქართულმა ოცნებამ“ იდეალურად წარმართა გასული 4 წელიწადი, პრაქტიკულად, გაანადგურა ოპოზიცია, ანუ „დიფ სთეითის“ აგენტურა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს გააგებინა სიმართლე, რომ „დიფ სთეითისგან“ მართული დასავლური სტრუქტურები არა საქართველოს დახმარებით, არამედ ქვეყნის არევისა და რევოლუციის მოწყობის გამუდმებული მცდელობით არიან დაკავებული. ახალმა ადმინისტრაციამ „ქართულ ოცნებას“ ხელი რომ გაუწოდოს, აგენტურა საბოლოოდ უნდა გაანადგუროს, რასაც, ბუნებრივია, „დიფ სთეითი“ არ დაუშვებს. ამავდროულად, „ქართული ოცნება“ ახლა იმდენად არის მოძლიერებული, რომ მასზე თავდასხმაც დღეს სრულიად კონტრპროდუქტიული იქნებოდა. სწორედ ამიტომ რჩება ახალი ადმინისტრაცია დუმილის რეჟიმში.**

თუმცა, „ქართული ოცნება“ არ უნდა დაელოდოს იმას, რასაც ამერიკაში ელოდებიან, კერძოდ, „დიფ სთეითის“ რებრენდინგს, რომელსაც დაახლოებით ერთი წელიწადი დასჭირდება. ამასაც მარტივი ახსნა აქვს – როგორც კი „დიფ სთეითის“ რებრენდინგი დასრულდება, ის საქართველოს გაძლიერებული ტრამპის ხელით შემოუბრუნდება და აგენტურით მის ჩანაცვლებას კიდევ ერთხელ შეეცდება. ამიტომ „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოება ახალი ადმინისტრაციის ხელით „დიფ სთეითის“ ახალი შეტევისთვის წინასწარ უნდა შეამზადოს.

**ერთადერთი, ვისაც ამ რთულ რეალობაში „ქართული ოცნება“ დღემდე ეყრდნობოდა და მომავალშიც უნდა დაეყრდნოს, ქართველი ხალხია, რომელსაც გასული 35 წლის მანძილზე უდიდესი გამოცდილება და სიბრძნე დაუგროვდა. ამიტომ აშშ-ში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოების სრულად ინფორმირებას ალტერნატივა არა აქვს!**

# ბართლომეოსი „დიფ სთეითის“ ნაწილია



## საქართველოში შეუმჩნეველი არ რჩება კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოლიტიკა

**კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლობის ლიდერობას იჩემებს, ე. წ. „დიფ სთეითის“ ნაწილია და შეერთებული შტატების პოლიტიკას ატარებს – მიიჩნევენ ქართველი მართლმადიდებლები, ძირითადად, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც თურქეთის საელჩოსთან პიკეტი მოაწყვეს.**

**„კითხვაზე პასუხი, თუ რატომ შევიკრიბეთ აქ, თურქეთის საელჩოსთან, ჩვენს მიერ მოტანილ პლაკატებზეა. ბართოლომეოსი, რომელიც ჩემულობს მსოფლიო პატრიარქობას, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.**

მან საეკლესიო კანონების დარღვევით, ერთპიროვნულად მიანიჭა უკრაინის არაკანონიკურ ეკლესიას ტომოსი ანუ საეკლესიო წესდება, რის უფლებაც მას არ ჰქონდა. ბართლომეოსი არის კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ბიზანტიის დედაქალაქისა, რომელიც 1453 წლის შემდეგ აღარ არსებობს და არის თურქეთის უდიდესი ქალაქი.

**ასევე შეგახსენებთ, რომ პირველად ისტორიაში, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, ბართლომეს სახით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაუკითხავად გამართა შეხვედრები აფხაზეთის სეპარატისტ სასულიერო პირებთან. ეს პიროვნება არის დიდი საფრთხე მთელი მართლმადიდებლობისთვის და მათ შორის, საქართველოს ეკლესიისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის.**

ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს უწმინდეს და უნეტარეს პატრიარქ ილია მეორეს, მის ქრისტიანულ მეგობრობას რუსეთის პატრიარქ კირილთან და ვფიქრობთ, რომ საეკლესიო პრობლემები საეკლესიო სამართალთან სრულ შესაბამისობაში უნდა გადაწყდეს. ამ აზრს გამოვხატავთ ახლა აქ, თურქეთის საელჩოს წინ და ვეუბნებით თურქ მეზობლებს, რომ ჩვენ მათი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ჩვენ გვყავს საერთო მოწინააღმდეგეები. სწორედ „დიფ სთეითის“ ძალებს, რომლებსაც წარმოადგენს ბართლომეოსი, სურდათ თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და ისინი გვებრძვიან ჩვენ, მართლმადიდებლებს. ჩვენი ეკლესია განუყოფელია და მარადჟამს ასე იქნება“ – ხაზგასმით თქვეს აქციის ორგანიზატორებმა, რომლებსაც ასეთი შინაარსის პლაკატები ეკავათ: **„მართლმადიდებელი ეკლესია განუყოფელია!“, „რეალური მართლმადიდებლები და რეალური მუსლიმები მეგობრები არიან!“, „ბაიდენის საუკეთესო მეგობარი ვერ იქნება თურქეთის მეგობარი“** და სხვ.

აქციის წინა დღით თბილისშივე გაიმართა კონფერენცია, რომელზეც ბართლომეოსის სახიფათო, ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკის დეტალები განიხილეს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, სასულიერო პირები. „სვისოტელში“ გამართულ კონფერენციაზე პოლიტოლოგიის დოქტორმა გულბაათ რცხილაძემ შეაჯამა ბართოლომეოსისადმი ქართველი მართლმადიდებელი საზოგადოებრიობის პრეტენზიები:

**„ბართლომეოსს საერთოდ არ ჰყავს მრევლი და თავად იგი იმართება შეერთებული შტატების მიერ. ამას მოწმობს არა მხოლოდ დასავლურ მასმედიაში ბოლო დროს გაჟღერებული ინფორმაციები, არამედ თუნდაც ბართლომეოსის ზედმეტად ხშირი შეხვედრები აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან. წარმოიდგინეთ, აშშ-ის პრეზიდენტი უმრავლო პატრიარქს თავისი მმართველობის პერიოდში (ჯერ როგორც ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ როგორც პრეზიდენტი) 4-ჯერ ხვდება. ნუთუ აშშ პრეზიდენტს მეტი საქმე არ აქვს? მაგრამ ეს შეხვედრები მოწმობს იმას, რომ ძირგამომთხრელი საქმიანობა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ სწორედ ბართლომეოსის ხელით კეთდება. ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თურქ მეზობლებს, რომ ასეთი პიროვნება – ბართოლომეოსი, რომელიც, სხვათა შორის, თურქეთის მოქალაქეა, ვერ იქნება თურქეთის სახელმწიფოს ერთგული და მისი ინტერესების გამტარებელი. ბართლომეოსი არის იარაღი გლობალური ძალების ხელში, რომლებიც ცდილობენ, შეარყიონ და დაანგრიონ მართლმადიდებელი სამყაროს ერთიანობა“** – აღნიშნა **გულბაათ რცხილაძემ.**

**გიორგი ჯორჯანელი**

# საკადრო ცვლილებები მთავრობაში


გრიგოლ ლილუაშვილი


ირაკლი ქარსელაძე


პაატა სალია


ანრი ოხანაშვილი


ირაკლი ბერაია

საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდება. საკადრო ცვლილებების შესახებ პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

კერძოდ, პრემიერმა განაცხადა, რომ რეგიონული განვითარების სამინისტრო დამოუკიდებელ სამინისტროდ ჩამოყალიბდება და მინისტრის თანამდებობას **გრიგოლ ლილუაშვილი** დაიკავებს, ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობას კი **ირაკლი ქარსელაძე** განაგრძობს.

პრემიერის თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამდებობაზე პარლამენტს **ანრი ოხანაშვილის** კანდიდატურა წარედგინება, იუსტიციის მინისტრის თანამდებობას კი **პაატა სალია** დაიკავებს.

**„წარმატებებს ვუსურვებ გრიგოლ ლილუაშვილს, ანრი ოხანაშვილს და პაატა სალიას ახალ თანამდებობებზე“**, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ფინანსთა მინისტრის ლაშა ხუციშვილის წარდგინებით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის 2025 წლის 2 აპრილის ბრძანებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე **ირაკლი ბერაია** დაინიშნა. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს.

ამ დრომდე ირაკლი ბერაიას იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

ირაკლი ბერაია დაიბადა 1976 წლის 23 ივლისს. 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2016-2025 წლებში იყო საქართველოს მე-9, მე-10 და მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი. პოლიტიკურ საქმიანობამდე მას წარმატებული კარიერა ჰქონდა საბანკო სექტორში.

ირაკლი ბერაიამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოსო რამიშვილი შეცვალა, რომელმაც თანამდებობა გუშინ დატოვა.

## მარტის თვეში უცხო ქვეყნის 97 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს



მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მარტის თვეში უცხო ქვეყნის 97 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი, სამინისტროს სხვა დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით ეფექტურად უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას. კერძოდ, გასული თვის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის 97 მოქალაქის ქვეყნიდან გაძევება განხორციელდა. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იძულების წესით იქნა ქვეყნიდან გაძევებული.**

**გაძევებულ პირებს კანონის შესაბამისად ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა დაუწესდათ. საქართველოდან გაძევებულ იქნა ინდოეთის, ბელორუსის, ჩინეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, ბანგლადეშის, ამერიკის შეერთებული შტატების, ერაყის, ირანის, ნიგერიის, თურქმენეთის, თურქეთის, ეგვიპტის, პაკისტანის, კამერუნის, იორდანიის, ყირგიზეთის – ჯამში 97 მოქალაქე.**

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ 3 ნარკორეალიზატორი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკორეალიზაციის ბრალდებით უცხო ქვეყნის 3 მოქალაქე დააკავეს,** – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე განცხადებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, დაკავებული არიან ირანის რესპუბლიკის მოქალაქეები: წარსულში ნასამართლევი 1982 წელს დაბადებული მ.ნ., 1993 წელს დაბადებული ა.ბ. და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე 1982 წელს დაბადებული ს.გ.

**„დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ ნარკოტიკების უკანონოდ გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნარკოტიკული საშუალებები „მდმა“ და „მარიხუანა“ ამოიღეს. ასევე, ნივთმტკიცებად არის ამოღებული სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.**

## კომპანია „სანტეს“ შემდეგ განცხადებას „აგროჰაბიც“ ავრცელებს!

**„საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე განვმარტავთ, რომ კომპანია „აგროჰაბში“ ნებისმიერი ნედლეული თუ პროდუქტი, რომელსაც კომპანია იღებს სხვა მომწოდებლისგან, გადის რამდენიმე საფეხურიან დამატებით შემოწმებას ჩვენსავე ლაბორატორიაში.**

**კონკრეტულად რძე, რომელსაც ვიღებთ რამდენიმე კომპანიისგან, გადის შემოწმების ფაზებს, ცისტერნაშივე მოწმდება ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური პარამეტრები, შემდეგ გადმოტანილი რძე გადის შემოწმებას სიმჟავესა და ბალანსზე, თერმომდგრადობაზე, სომატურ უჯრედებზე, ანტიბიოტიკებზე, მიკრობთა საერთო რაოდენობაზე.**

**იყო შემთხვევა, როდესაც მომწოდებლის მხრიდან მიღებულმა რძემ ვერ დააკმაყოფილა აღნიშნული შემოწმების კრიტერიუმები და ასეთი პროდუქტი უკან იქნა გაბრუნებული.**

**სრულიად გამორიცხულია, ნედლეულმა გადმოკვეთოს აგროჰაბის წარმოების „საზღვარი“ და შემდეგ პროდუქტის სახით გავიდეს საწარმოდან, რომელიც რაიმე სახით არ აკმაყოფილებს ხარისხის მოთხოვნებს.**

**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ „აგროჰაბში“ წარმოებული ნებისმიერი პროდუქტი ნატურალურ და ჯანსაღ ნედლეულზე მზადდება და სრულიად უსაფრთხო და უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, სწორედ ამიტომ გვენდობა მომხმარებელი გახსნის დღიდან და ეს არის ჩვენი კომპანიის მთავარი და უცვლელი ღირებულება“**, – ნათქვამია განცხადებაში.

ასევე, განცხადება გაავრცელა სანტემაც.

ცნობისთვის, „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ ნედლი რძის მწარმოებელი უდიდესი ფერმის მფლობელი „ყვარლის ბაგა“ ძროხებს ევროკავშირში აკრძალული ქათმის ნაკელით კვებავდა. ის რძით ამარაგებდა სანტეს, სოფლის ნობათს, აგროჰაბს და რძის ლაბორატორიას.

## ევროპოლმა მსოფლიოში ყველაზე დიდი პლატფორმა დახურა, სადაც ბავშვების პორნოგრაფიული მასალა ვრცელდებოდა!

**საერთაშორისო ოპერაციის ფარგლებში სამართალდამცავებმა ვებგვერდი „ქიდფლიქსი“დახურეს. როგორც ევროპოლი მიუთითებს, საუბარია მსოფლიოში ყველაზე დიდ პლატფორმაზე, სადაც ბავშვების პორნოგრაფიული მასალა ვრცელდებოდა.**

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული ვებგვერდის მომსახურებით 1,8 მილიონი პედოფილი სარგებლობდა.

**„ჩვენ ძლიერი დარტყმა მივაყენეთ ბავშვების პორნოგრაფიას. ეს არის ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ძლიერი დარტყმა“**, – განაცხადეს ბავარიის მიწის პოლიციის წარმომადგენლებმა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, აღნიშნულ ვებგვერდთან წვდომა 180 დოლარი ღირდა.

**პლატფორმაზე განთავსებული იყო ფოტო/ვიდეომასალა, რომლებშიც ბავშვებზე ძალადობა იყო ასახული. გამოძიებამ ამ დროისთვის 1400 ეჭვმიტანილი გამოავლინა, 79 პირი დააკავეს. საერთაშორისო ოპერაციაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ასევე ალბანეთი, ახალი ზელანდია და სხვა ქვეყნები. გამოძიების ფარგლებში ჩხრეკა ჩატარდა 31 ქვეყანაში მდებარე ობიექტებში.**

**ეჭვმიტანილების საცხოვრებელი ადგილებიდან ამოღებულია ინფორმაციის შემნახველი ათასობით ციფრული მოწყობილობა და კომპიუტერები.**




**ეჭვმიტანილებს შორის არიან არა მხოლოდ ის პირები, რომლებიც ვებგვერდზე პორნოგრაფიულ მასალას ტვირთავდნენ, არამედ ვინც ამ ფოტო/ვიდეოს ეცნობოდა და ბავშვებზე ძალადობაში მონაწილეობდა.**

**გამოძიების ფარგლებში ევროპოლმა დაცვის ქვეშ აიყვანა სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი 39 არასრულწლოვანი. სამართალდამცავების ინფორმაციით, „ქიდფლიქსი“ 2021 წელს შეიქმნა და მსოფლიოში ყველაზე დიდი პლატფორმა იყო, სადაც ბავშვების მონაწილეობით პორნოგრაფიული მასალა ვრცელდებოდა.**

**2025 წლის მარტში გერმანელმა და ჰოლანდიელმა გამომძიებლებმა ვებგვერდის სერვერი ამოიღეს, რომელზეც ბავშვების პორნოგრაფიის ამსახველი 72 000 ვიდეო ინახებოდა.**

## გოგიტა მურცხვალაძე:

# სანდრა რულოვსი შვილის გაყიდვაში 15000 დოლარს მთავაზობდა



**მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ჩემი სტატია, რომელიც იყო უკრაინის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლის საიდუმლო ჩანაწერი და ეხებოდა ფაქტებს „ნაცმოძრაობის“ ყოფილი ლიდერისა და მისი მეუღლის მიერ უკრაინაში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ, მკითხველთა ზარები არ წყდება!..**

**რამდენიმე დღის წინ ჩემი ძველი ნაცნობი გოგიტა მურცხვალაძე დამიკავშირდა და მთხოვა, „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის და კომისიისთვის მისი ხმაც მიმეწვდინა.**

**გოგიტა მურცხვალაძე: „მას შემდეგ, რაც წავიკითხე სააკაშვილისა და მისი ოჯახის „ბიზნესსაქმიანობის“ შესახებ, მართალი გითხრათ, არც გამკვირვებია, რადგან უკრაინაში მასშტაბები უფრო ფართო იყო, საქართველოში კი შედარებით მცირე, თორემ, როგორც მე ვიცი, იგივე ხდებოდა საქართველოს ციხეებშიც.**

რადგან მეც მინდა, წვლილი შევიტანო კომისიის მუშაობაში, ამიტომ, თქვენი ნებართვით, ცოტა შორიდან მოვყვები, რადგან იმ წლებში ბევრი ისეთი რაიმეს მომსწრე ვარ, რომელიც პირდაპირ ამხელს ნაციონალური რეჟიმისა და მისი ლიდერების დანაშაულებრივ სახეს.



2006 წელი იყო. სანდრა რულოვსს ოფისი ჰქონდა გახსნილი მეტრო „რუსთაველის“ თავზე, კოსტავას ეზოსთან ახლოს. ოფისს ერქვა — საქველმოქმედო ფონდი „სოკო“.

საქმეში ჩახედულ ადამიანებს კარგად ეხსომება ის პერიოდი და ისიც, სანდრა რულოვსს რომ მადლობას უხდიდნენ ქალბატონები დაგეგმილ მშობიარობასა და შობადობაში ხელის შეწყობისთვის, რადგან, ამ ფონდის საშუალებით, სანდრას შემოჰქონდა ოპერაციული აბორტის შემცვლელი აბები, ასევე, პრეზერვატივები, რომლებიც, ასე ვთქვათ, არასასურველ ორსულობას აცილებდა თავიდან ქალბატონებს. ასე ზრუნავდა ჩვენი ერის გამრავლებაზე ჩვენი ჰოლანდიელი ყოფილი რძალი.

დიდი სიმპათიით არასდროს ვყოფილვარ მის მიმართ განწყობილი, მაგრამ გაჭირვება რას არ გაგაკეთებინებს და გადავწყვიტე სანდრა რულოვსთან მისვლა. ვიფიქრე, პრეზიდენტის მეუღლეა, ეგება, დამეხმაროს შვილის ოპერაციის გასაკეთებელი თანხების მოძიებაში-მეთქი. მოგეხსენებათ, ოპერაციები ყოველთვის დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და მით უმეტეს, იმ ოპერაციის თანხა იყო დიდძალი, რომელსაც ჩემს შვილს უპირებდნენ მაშინ.

**— ბატონო გოგიტა, მკითხველს გავაცნოთ, რით არის ავად თქვენი შვილი?!**

— ჩემს ვაჟს ჯაბა მურცხვალაძეს სამშობიარო ტრავმა აქვს მიღებული და დღემდე ინვალიდია.

**— მოდი, ტერმინ ინვალიდს ნუ ვახსენებთ, უნარშეზღუდული ვთქვათ, ნუ მივაყენებთ ტკივილს მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანებსაც.**

— ჩემო კარგო, ჯერ ნებისმიერი მთავრობა, ძველი იქნება თუ ახლანდელი, ავადმყოფ ადამიანებს მოეპყრან ნორმალურად, პატივისცემით, დაუნიშნონ სათანადო პენსია, დახმარება, სოციალური ბონუსები და მერე დაარქვან უცხოური ტემინები — შშმ პირი თუ რა სახელიც უნდათ. მარტო სახელის შეცვლა არ შველის ამ ადამიანებს...

**— კარგი, დავუბრუნდეთ სანდრა რულოვსთან შეხვედრას. რა საუბარი გაიმართა თქვენ შორის?**

**— რომ მოვუყევი ჩემი მდგომარეობა და ვუთხარი, ძვირადღირებული ოპერაციისთვის ვემზადებით-მეთქი, ქალბატონმა გადაკვრით, თუმცა გასაგებად მითხრა: შენ ვერ შეძლებ ამ ბავშვის მოვლასო; აშკარად კი შემომთავაზა: ჩემს ამერიკელ მეგობრებს სურთ ინვალიდი ბავშვის აყვანა და თუ თანახმა იქნები, მივაშვილოთ შენი ბიჭი, რომელშიც 15 000 დოლარს გადაგიხდიო. მაშინ ჩემი ჯაბა 14 წლის იყო. 14 წლის ჭაბუკის შვილება რისთვის შეიძლება უნდოდეს ადამიანს თუ არა ექსპერიმენტებისთვის ან ორგანოების გამოყენებისთვის? დიდი ეჭვი მაქვს, რომ ჩემი შვილი შავი ტრანსპლანტაციისთვის სჭირდებოდათ და არა ფუფუნებაში საცხოვრებლად.**

ისე გავმწარდი, აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, ენა ჩამივარდა, პასუხიც ვერ დავუბრუნე, რადგან დახმარების ნაცვლად, ქალმა, რომელიც მაშინ უკვე ორი შვილის დედა იყო, შვილის შავ ბაზარზე გაყიდვა შემომთავაზა.

იმ პერიოდში სააკაშვილი და მისი ოჯახი პარლამენტთან ახლოს ცხოვრობდნენ. ჯერ სადარბაზოს შესასვლელში გავაკარი ბანერები, სადაც მკვლელს ვეძახდი სანდრას და მიშას, თან დაველოდე რეაქციას, მაგრამ რეაგირება რომ არ მოახდინეს, სახლთან ჩემი შვილი მივიყვანე ეტლით. დიდი ხანი არ დაგვჭირვებია ლოდინი, მალე მოვიდა დიდი ჯიპი, გადმოვიდა იქიდან პირველი ლედი და სახლისკენ გაემართა. მე შვილთან ერთად წავედი მისკენ და დავუძახე: — სანდრა, საქმე მაქვს შენთან, დამელოდე-მეთქი. არ მცალია შენთვისო, — მომაძახა და გზა გააგრძელა. გაჭირვებულისთვის თუ არა, აბა, ვისთვის გცალიათ-მეთქი, ვუთხარი და გავიწიე მისკენ. იმ მომენტში იქ ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტები იყვნენ. „მზის“ არქივში უნდა ინახებოდეს ეს კადრები. რომ გავიწიე მისკენ, ატყდა ჩოჩქოლი, დაცვა გადაგვეღობა, სანდრა დაიბნა. მე მომზადებული ვიყავი, ხელში მქონდა ბენზინით სავსე ბოთლები და არც დავფიქრებულვარ, ისე ვესროლე ეს ბოთლები სანდრას და მივაყოლე ანთებული „ზიპოს“ ფირმის სანთებელა, თუმცა სანთებელა ჩაქრა, მოხდა სასწაული, რადგან ეს ისეთი ფირმის სანთებელაა, თავსხმა წვიმაშიც რომ არ ქრება, არადა არც წვიმა იყო მაშინ და არც ქარი, მაგრამ კიდევ კარგი, ღმერთმა ამარიდა ადამიანის მკვლელობა და გულის სიღრმეში მიხარია კიდეც ეს, მაგრამ სანდრა რულოვსს ჩემი ცოდვა მაინც მიეწევა სადღაც ცხოვრების მანძილზე. როგორ მითხრა მან შვილი გაყიდეო, ხალხო, ასე იაფი ღირს შვილი?



საქმე იცით, რაშია?! წლების განმავლობაში საქართველოში თითქმის ყველა ინსტანცია მაქვს მოვლილი, რომელთა საქმიანობაც ჩემი შვილის ჯანმრთელობის პრობლემას ეხებოდა პირდაპირ ან ირიბად და უნდა გითხრათ, რომ ძალიან მადლობელი ვარ ბეჭდური მედიის, პირადად თქვენი და კიდევ რამდენიმე ჟურნალისტის, ბევრ რამეში დამიდექით გვერდით და შეუმსუბუქეთ ჩემს შვილს და ჩემს ოჯახს ტვირთი, რომელიც უმძიმესია. თუმცა ამას ვერ ვიტყვი ქართულ ტელევიზიებზე, მაგალითად, გია ჯაჯანიძეს ვეხვეწებოდი — მშია, მწყურია, წამლის ფული არ მაქვს, ერთი 5-წუთიანი, თუნდაც 2-წუთიანი სიუჟეტი მიუძღვენი ჩემს მდგომარეობას-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? შენს შვილზე რომ გავაკეთო გადაცემაში სიუჟეტი, მერე სხვა შშმ პირებიც მოითხოვენო!!!

ჩემი შვილი ახლა 30 წლისაა, ჩემს მეუღლესთან და ჩემთან ერთად ეტლზე მიჯაჭვული გადის თავისი ცხოვრების წლებს, თუმცა მე არასდროს მიფიქრია და არც ვიფიქრებდი, შვილი გამეყიდა არათუ 15 000-ად, თუნდაც მილიონ დოლარად.

ქალბატონო ირანდა, რაც ორგანოებით ვაჭრობის თემაზე სტატია წავიკითხე, პირდაპირ დამიდგა თვალწინ ის პერიოდი და დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა სანდრა რულოვსს და მიხეილ სააკაშვილს ადამიანების, მოქალაქეების მიმართ. ისინი ადამიანებს უყურებდნენ, როგორც მიზნის მისაღწევ და ხშირ შემთხვევაში, როგორც ფულის მოზიდვის საშუალებას.

**მე ზეპირად აღარ მოვყვები, რა უბედურებები მესმოდა მაშინ თუნდაც ციხეებიდან, ამის შემსწრე ადამიანებიც არიან და იმედია, კომისია ამ საკითხებითაც დაინტერესდება, რადგან სამართალი მართლაც უნდა აღდგეს, არა ისე, როგორც ქუჩაში ითხოვენ, ასე ვთქვათ, პირზე რძეშეუმშრალი ახალგაზრდები, რომლებსაც არ უნახავთ 9-წლიანი სისასტიკე, ჩვენ დაგვეკითხონ, ჩემნაირ ადამიანებს, ციხეგამოვლილ ხალხს, ნაწამებ ადამიანებს და ყველა დაინახავს ნაციონალების ნამდვილ სახეს.**

**ირანდა კალანდაძე**

## გიორგი ზერეკიძე: მამაჩემი, 47 წლის კაცი, რომელიც ჯან-ღონით სავსე იყო, ციხის ტუალეტში მოკლეს



**47 წლის კაცი, რომელიც ჯან-ღონით სავსე იყო, ციხის ტუალეტში გაგუდეს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ერთი წამით რომ მქონდეს ეჭვი, მამაჩემს დენმა დაარტყა, არც მე არ მინდა, იმ ჯვარით ვიარო მთელი ცხოვრება, რომ ვიღაცამ მამა მომიკლა. ციხეში გატარებული ჩემი შვიდი წელიც არაფერია იმასთან შედარებით, მე რომ მამა ცოცხალი მყოლოდა,** — ამის შესახებ **გიორგი ზერეკიძემ** „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაზე“ განაცხადა. ზერეკიძის შეფასებით, საქმიდან ამოღებული ერთი ფოტოც საკმარისია იმისთვის, რომ არავის აღარ დარჩეს კითხვა, რა მოხდა სინამდვილეში.

**„დღემდე ხომ ძიებაშია და მესმის, რთულია, ციხეშია მომხდარი დანაშაული, მაგრამ ერთი ფოტო ამოვიღოთ და ვაჩვენოთ საზოგადოებას და თუ ვინმეს კიდევ კითხვა გაუჩნდება, რომ აქ შეიძლებოდა მართლა დენის დარტყმას ჰქონდეს ადგილი, ცხოვრებაში საჯაროდ კი არა, ხმას აღარ ამოვიღებ საერთოდ“,** — განაცხადა **გიორგი ზერეკიძემ.**

ამასთან, საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ზერეკიძემ აღნიშნა: **„ციხეში მომიწია 6 წლის, 11 თვისა და ერთი კვირის გატარება. ნახევარი თუ არა, ნახევრის ნახევარი საქართველოც იჯდა ციხეში, ციხეში ვიყავი-მეთქი, ცუდი იყო ძალიან, მაგრამ გაცილებით ცუდია ის ფაქტი, რომ დღეს მამა აღარ მყავს. ყველაზე ძალიან რაც მაწუხებს ამ ამბიდან, მამაჩემი თუ იმას ვერ პატიობდა თავის თავს, რომ თავისი ფეხით მიმიყვანა პოლიციაში და შემდეგ უკვე სახელმწიფო როგორ დამიპირისპირდა, მე როგორ ვაპატიო ჩემს თავს, რომ ჩემი რაღაც გაუაზრებელი მოქმედებით ამ ყველაფერს მოჰყვა ის, რომ მამა აღარ მყავს“.**



**ჯუმბერ სარდლიშვილი:**

# ევროპა საფრთხეშია!

## რატომ აყალბებენ ერის ცნებას?!

**ვინმემ იცის ვინ არიან პოსტმოდერნისტული და გლობალისტური იდეების სათავეში? მათ ერები სძულთ, განსაკუთრებით ევროპული ერები. რასიზმი და ანტისემიტიზმი გოროტებაა, ხოლო ანტიეროვნული ურჩხული გოროტებათა სათავეშია.**

გავიხსენოთ ერების მარქსისტული შერწყმის თეორია. გენეტიკურად პოპულაციების შერწყმა არც ისე რთული პროცესი ყოფილა; საკმარისია მიგრაციული პროცესების დაჩქარება. ხალხთა აღრევა აუცილებლად გამოიწვევს გენოტიპის ცვლილებას. ეს პროცესი გენეტიკაში შესწავლილია. მარქსისტული იდეებით შეპყრობილ მეცნიერებს გაუჩნდათ წარმოდგენა: „რადგან ადამიანები ერთი პლანეტის მცხოვრებლები არიან, კულტურაც გლობალური ხდება და ამას კი ბუნებრივი, გარდაუვალი მიზეზების გამო ეროვნული ნიშნების წაშლამდე მივყავართ“. ეს საბჭოთა მეცნიერების სულისკვეთება დაამშვენებდა თანამედროვე ნეოლიბერალურ მარქსიზმს, რომელიც მის მიერვე გამოწვეული მიგრაციული პროცესებით ევროპული ერების გადაშენებას ცდილობს.

**ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილია, რომ „ეთნიკურ ურთიერთობებს სისხლით ნათესაური კავშირი უდევს საფუძვლად“. რატომ არ ვაღიარებთ, რომ ფრანგი ბიოლოგიურად არის ფრანგი და არა ეთნიკურად? ეთნიკურად ფრანგები არიან საფრანგეთში მცხოვრები ის ბიოლოგიურად სხვა პოპულაციების წარმომადგენლები, რომლებიც ფრანგული კულტურის გავლენას განიცდიან და ფრანგულ კულტურას ემსახურებიან. ვინც ამ სხვაობას ვერ ხედავს გონებრივად ბეცია.**

ენდრიუ ჰეივუდი, ავტორი წიგნისა „პოლიტიკური იდეოლოგიები“, გვიმტკიცებს, ნაციონალიზმს კულტურული ფესვები უფრო აქვს, ვიდრე ბიოლოგიურიო. ნაციაში თუ ერს გულისხმობენ, ერს კულტურული ფესვები პოპულაციაში აქვს, პოპულაციის ფესვები კი ბიოლოგიურია. ნაციაში თუ პოლიტიკურ ერს გულისხმობენ, ასეთი ერთობა ხელოვნურია, მას არც კულტურაში აქვს ფესვები და არც – ბიოლოგიაში, ის მოქალაქეთა ერთობაა და სამართლებრივ სივრცეშია.

ენდრიუ ჰეივუდის აზრით, ეთნიკური მთლიანობის საფუძველი შეიძლება რასა იყოსო, და დასკვნაც ასეთივე „ჭკვიანურია“: „საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ, რომ ერები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ „სუბიექტურად“ მათი წევრების მიხედვით და არა რაიმე ფაქტორების მიხედვით. გესმით, რა სისულელეს ამბობს?!.. არ ჰგავს ეს იმის მტკიცებას, რომ ბავშვებმა თავად უნდა განსაზღვრონ თავიანთი სქესიო?..

**მეცნიერება რისთვის არსებობს? რას აკეთებს ეთნოლოგია, გენეტიკა, ბიოლოგია, ანთროპოლოგია? ენდრიუ რის საფუძველზე ამბობს, ნაციონალიზმს კულტურული ფესვები უფრო აქვს ვიდრე ბიოლოგიურიო, სიზმარში ნახა?**

ზემოთ მისი აზრი მოგახსენეთ, სადაც ამბობს, რომ ეთნიკური მთლიანობა შეიძლება იყოს რასობრივი კუთვნილებაო. „პოპულაციური გენეტიკა „რასის“ კონცეფციის შესახებ ბიოლოგიურ საფუძველს არ ფლობს“. პოპულაციური გენეტიკის ისტორიული გზა ასეთია; ინდივიდი, გვარი, ტომი და ერი. ამ გზაზე გენეტიკოსთა აზრით „ალელთა სიხშირეები თუ თაობიდან თაობაში არ იცვლება, მაშინ უცვლელი რჩება გენოტიპების თანაფარდობაც“. ინდივიდიდან ერამდე გზა პოპულაციის გზაა, პოპულაცია მოდგმაა და მოდგმა ერია, რომელიც ბიოლოგიურ საფუძველზე აღმოცენდა. მტკიცება იმისა, რომ ბიოლოგიური საფუძველი მხოლოდ რასას გააჩნია, ვაიმეცნიერების იდეოლოგიური სიცრუეა. ასეთი „მეცნიერები“ საბჭოთა მარქსიზმსაც ჰყავდა და ნეოლიბერალურ მარქსიზმსაც ჰყავს. სინამდვილეში, მეცნიერული თვალსაზრისით, „რასა არარეალური ცნებაა“. რასაში ბიოლოგიური კვლევის საგანი არ ჩანს. მართალია, რასისტული სახეობები არსებობს, მაგრამ რასობრივი კატეგორიზაცია ეყრდნობა არასრულყოფილად განსაზღვრულ კრიტერიუმებს; კანის ფერს, თმის სტრუქტურას და სახის ნაკვთებს. ეთნოლოგიაში არის მოსაზრება, რომ „რასობრივი ნიშნები არ შეიძლება მიჩნეული იქნეს არსებითი მნიშვნელობის ეთნიკურ ნიშნად.




**„კაცობრიობის რბოლა“. ვებსტერის ახალი ილუსტრირებული ლექსიკონი, 1911 წ., სხვადასხვა ერების წარმომადგენლები მოქცეულები რასობრივი კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა ხუთ რასად: მონღოლური, კავკასიური („თეთრი“), მალაიური, ამერიკელი, ეთიოპიელი.**

მომავალში მეცნიერები რას აღმოაჩენენ, არ ვიცი, მაგრამ დღეისათვის არსებული მეცნიერული აღმოჩენებით დასტურდება, რომ პოპულაციებს ბიოლოგიური საფუძველი აქვთ. ერი ხელოვნურად არავის შეუქმნია, თუმცა იყო მცდელობები **საბჭოთა ერის შექმნისა, ისლამის ერის შექმნისა, მაგრამ თუ ბიოლოგიური საფუძველი არ გააჩნია, ერი ვერ შეიქმნება.** მართალია, შერწყმებით პოპულაციების გენეტიკური სტრუქტურა დაირღვევა, მაგრამ პარალელურად შეიქმნება ახალი გენოტიპები. რატომ მოვსპოთ არსებული პოპულაციები, როცა ახალი, განსხვავებული პოპულაციები შეიქმნება? თუ გვინდა, რომ კაცობრიობამ დაისვენოს მარქსისტული ერიყლაპია თეორიებისგან, იდეოლოგიები უნდა აიკრძალოს. უნდა გვახსოვდეს, რომ კაცობრიობის ეთნიკური ნიშნით დაყოფა არასწორია. პოპულაცია ქმნის ეთნიკურ კულტურას და არა კულუტურა-პოპულაციას. მეცნიერული აღმოჩენები მხოლოდ ადასტურებენ ამ ჭეშმარიტებას. ეთნოლოგიების აზრს შეგახსენებთ: **„ერის საკითხის გარკვევისთვის ეთნოსი გენეტიკური ერთეულის მნიშვნელობას ღებულობს“.**

ბატონი ენდრიუ ჰეივუდი, ლიბერალური თვალსაზრისით ასკვნის: „ნაციონალიზმის ძირითადი ნიშანი ისაა, რომ ერი წარმოადგენს ან უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური წყობის ჩამოყალიბების ცენტრალურ ობიექტს“. თუ გავთავისუფლდებით პოლიტიკური იდეების გავლენისგან, დავინახავთ, რომ ერი არ წარმოადგენს და არც უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური წყობის ობიექტს. ერი ბიოლოგიური ერთობა, რომელსაც სასიცოცხლო სივრცე სჭირდება. ადამიანებს წინასწარი განჭვრეტით არ შეუქმნიათ ორგანზომილებიანი სივრცე.

**ვიმეორებ:**

### 1. ეროვნული განზომილება, რომლის ელემენტია ინდივიდი;

### 2. საზოგადოებრივი განზომილება, რომლის ელემენტია პიროვნება.

ეროვნული განზომილება ბუნებრივ სივრცეშია, ხოლო საზოგადოებრივი განზომილება კულტურულ სივრცეში. განზომილებები შექმნილია ადამიანის ბუნებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე.

პოპულაციათა და ადამიანთა სიმრავლემ პოპულაციის შიგნით წარმოშვა საჭიროება კოლექტიური თავდაცვისა და პოპულაციის შიგნით წესრიგისა. თანდათან გაჩნდა ჩანასახი სახელმწიფო განზომილებისა, რომელმაც ორსახოვანი ადამიანი სამსახოვან ადამიანად აქცია; ადამიანი – ინდივიდი, ადამიანი – პიროვნება და ადამიანი – მოქალაქე. ინდივიდი ერის ელემენტია, პიროვნება საზოგადოებისა, ხოლო მოქალაქე – სახელმწიფოსი. იდეოლოგიური მრწამსით შეიარაღებულ პარტიებს სურთ ეროვნული და საზოგადოებრივი განზომილებები სახელმწიფო განზომილებაში გადმოიტანონ და პოლიტიკური მართვის ობიექტად გაიხადონ. პოპულაციურ მოდგმას, თავისი დამახასიათებელი კულტურული უნიკალურობით, ვერ ეგუებიან სოციალისტური მარქსიზმი და ლიბერალური მარქსიზმი, იმის გამო, რომ ეროვნული მიზნები იდეოლოგიურ მიზნებს წინააღმდეგობას უწევენ. იდეოლოგიის თეორეტიკოსებს გაუჩნდათ ცდუნება, რომ მათი შეხედულებები უფრო მაღალი ღირებულებებისაა, ვიდრე ბიოლოგიური ერთობა თავისი უნიკალურობით და შექმნეს ერის სამოქალაქო კონცეფცია. მათი აზრით: **„ერი წარმოადგენს ფსიქოპოლიტიკურ ორგანიზმს, ეს არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც თავის თავს ბუნებრივ პოლიტიკურ საზოგადოებად აღიქვამს“.** ასე უტიფრად გვარწმუნებენ, რომ პოლიტიკურმა იდეოლოგიამ უნდა დაიქვემდებაროს არა მხოლოდ სახელმწიფო განზომილება, არამედ ეროვნული და საზოგადოებრივი განზომილებებიც. პოლიტიკური ერის, ნაციის კონცეფციის არსი ამ ვერაგულ ზრახვაშია.

ენდრიუ ჰეივუდი წერს: „ნაციონალიზმს კულტურული ფესვები უფრო აქვს, ვიდრე ბიოლოგიური; ის ასახავს ეთნიკურ მთლიანობას, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს საერთო რასობრივი კუთვნილება“.

ჩემში აღშფოთებას იწვევს სიტყვა „შეიძლება“. ჭეშმარიტების მკვლევარი ამ სიტყვას არ იყენებს. პოლიტიკური იდეოლოგიები, რომ სიცრუეზეა დაფუძნებული, პოლიტოლოგებმაც იციან. ერს რომ ბიოლოგიური ფესვები აქვს და არა – კულტურული, მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით ზემოთ ვისაუბრეთ. ეთნიკური მთლიანობის საფუძველი, რომ რასობრივი კუთვნილება ვერ იქნება, ეს ეთნოლოგიაშიც დასტურდება და გენეტიკაშიც; რასას არც ბიოლოგიური საფუძველი აქვს და არც – ეთნიკური. მეცნიერული თვალსაზრისით „რასა არარეალური ცნებაა“. ეთნოლოგები გვარწმუნებენ, რომ „რასობრივი ნიშნები არ შეიძლება მიჩნეული იქნას არსებითი მნიშვნელობის ეთნიკურ ნიშნად“. ამ საკითხზე ზემოთაც ვისაუბრეთ.

**უნდა ავიტანოთ იდეოლოგიური ტყუილები, რომლებიც რწმენაზეა დაფუძნებული? შევეხოთ რამდენიმე პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისს ერის შესახებ:**

**1. „ლიბერალები ემხრობიან ერის „სამოქალაქო კონცეფციას“, რომელიც ერთნაირად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობას. ერი წარმოადგენს მორალურ გაერთიანებას, რადგან მას გააჩნია უფლებები, განსაკუთრებით კი თვითგამორკვევის თანასწორი უფლება“.**

ერის „სამოქალაქო კონცეფცია“ ავადმყოფური გონების ნაყოფია, რომლითაც ნეოლიბერალური მარქსიზმი სწამლავს ადამიანებს. ბიოლოგიური ერის პოლიტიკურ ერად გარდაქმნა, ნიშნავს ერის იდეოლოგიური მიზნებისადმი დაქვემდებარებას. ერი ბუნებრივ სივრცეში სუფევს. მისი სამართლებრივ სივრცეში გადატანა შეუძლებელია; ქართველებისთვის ან ფრანგებისთვის სახელმწიფო კანონებს ვერ მიიღებს, ის მოქალაქეებისთვის იღებს კანონებს. კანონი ვერ დასჯის პიროვნებას, რომელიც კულტურულ სივრცეში თავისი უნიკალური ბუნებრივი შესაძლებლობებით თვითმყოფად კულტურას ქმნის. იდეოლოგიის მიზანი გახლავთ, შეაღწიოს კულტურულ სივრცეში და ის იდეოლოგიურ ჩარჩოში მოაქციოს. იდეოლოგიური მწერალი, მუსიკოსი, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი იდეოლოგიურ ტყვეობაშია და ტყუილია, როცა ლიბერალი მწერალი ან რეჟისორი თავის თავს განსაზღვრავს, როგორც თავისუფალს. ასეთი შემოქმედები ძალადობის მსხვერპლნი არიან. დადგება დრო, იდეოლოგიური ნაწარმოებები გარდაცვლილ იდეოლოგიას საფლავზე დაეყრება.

**ყოველივე, რასაც იდეოლოგია განსაზღვრავს, იდეოლოგიასთან ერთად კვდება.**

რაც შეეხება უფლებებს და განსაკუთრებით ერის თვითგამორკვევის უფლებას, უნდა შევთანხმდეთ, ვინ აძლევს ერს უფლებებს. პოპულაციური მოდგმა – ერი ბუნების უნიკალური შედევრია. ბუნების მიერ მინიჭებული აქვს არსებობის უფლება, ხოლო უნიკალურობა, რისი მეშვეობითაც იქმნება თვითმყოფადი კულტურა ერისა, უზენაესი ღირებულებაა, რასაც უნდა ემსახურებოდეს პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება და ასე შემდეგ. კულტურა ისეთივე ნაყოფია ერისა, როგორც ვაშლის ჯიშისთვის – ვაშლი. ვაშლის ჯიში იმისთვის არსებობს, რომ ვაშლი დაისხას. პოპულაციები ბუნებრივად იმიტომ არსებობენ, თვითმყოფადი კულტურები შექმნან. ვაშლის ხეს, რა თქმა უნდა, სჭირდება წყალი, სასუქი, მობარვა, შეწამვლა და ასე შემდეგ. ეს ყოველივე ემსახურება უზენაეს მიზანს ბუნებითი არსებისას, რასაც ვაშლი ჰქვია. ერი მსგავსი ბუნებითი არსებაა, რომელიც უნიკალურ კულტურას ქმნის. სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, და ასე შემდეგ; პოლიტიკის ჩათვლით, მხოლოდ ამ უზენაეს მიზანს ემსახურება. პოლიტიკა მსახურია და არა – მბრძანებელი. ხელისუფლებას ერის, საზოგადოების და სახელმწიფოს მომსახურებისას იდეოლოგიები არ სჭირდება, პოლიტიკოსების იდეები მომსახურების გაუმჯობესებას უნდა იწვევდეს, სხვა იდეები და მითუმეტეს იდეოლოგიები ბუნების წინააღმდეგ ქმედებებია, რის გამოც კაცობრიობა დაისაჯა და კიდევაც დაისჯება.

**2. „კონსერვატორები ერს თვლიან უპირველესად „ორგანულ ერთობად, რომლის წევრებსაც აკავშირებს საერთო ისტორია და ეთნიკური კუთვნილება. პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც სოციალური გაერთიანებისა და კოლექტიური იდენტობის წყარო, ერი, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფს წარმოადგენდეს“.**

„საერთო ისტორიის“ ცნება, ამ თვალსაზრისით, ახალი არ არის. ისტორიული პროცესი ისეთი ძალის მოვლენა არ გახლავთ, რომელ-

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №48

# არის ასეთი შეფასებაც!

საქართველოს რესპუბლიკა



კავკასიური რასა (ქართველები)

საც შეუძლია პოპულაციებში ცვლილება გამოიწვიოს. მიუხედავად საბჭოთა კავშირში შემავალი საერთო ისტორიის მქონე ერების არსებობისა, საბჭოთა ერი ვერ შეიქმნა. ასიმილაციები ხდებოდა არა საერთო ისტორიის მიზეზით, არამედ შეჯვარებების შედეგად. რაც შეეხება სოციალური ჯგუფის ცნების გაიგივებას ერის ცნებასთან, სხვა იდეოლოგიებისთვისაც მისაღები შეხედულებაა, მაგრამ სიმართლე არ გახლავთ. სოციალური ჯგუფებისთვის დამახასიათებელია უთანასწორობა, რასაც საზოგადოებრივ განზომილებაში გადავყავართ. ეროვნულ განზომილებაში ყველა ინდივიდი ქართველია; პრეზიდენტიც, მუშაც, პოლიციელიც და მეცნიერიც. ეროვნულ განზომილებაში ქონებრივი და იერარქიული დაყოფა არ არსებობს. ერში ყველა ქართველია და ეროვნული სივრცე ყველასია. ერისკაცი, ერის მამა, მამულიშვილი თანამდებობები კი არა, ღვაწლის გამო პატივია.

**3. სოციალისტების აზრით: „ერი კაცობრიობის ხელოვნურ დანაწევრებას წარმოადგენს, რომლის ამოცანაა მიჩქმალოს სოციალური უთანასწორობა და დაიცვას დადგენილი წესრიგი. ამიტომ სოციალისტები თვლიან, რომ პოლიტიკურ მოძრაობებს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ინტერნაციონალური და არა ნაციონალური ხასიათი“.**

**რა თქმა უნდა, ერი კაცობრიობის ხელოვნურად დანაწევრებულ ერთობას არ წარმოადგენს, ინდივიდიდან კაცობრიობამდე გზა ბუნებრივად გვარზე, ტომზე და ერზე გადის, ის ბიოლოგიური მოდგმაა და არა პოლიტიკური ძალის ერთობა. სოციალისტური ინტერნაციონალიზმი მარქსის გოდვაა, რომელმაც ლიბერალიზმში შეღწევა მოახერხა და დღეს ნეოლიბერალურ-მარქსისტულ იდეებს ინტერნაციონალიზმის დროშით აფრიალებს.**

**4. ანარქისტები თვლიან: „ერი ასოცირდება სახელმწიფოსთან და შესაბამისად ჩაგვრასთან. ერი მათთვის წარმოადგენს მითს, რომლის დანიშნულება მმართველი ელიტის ინტერესების დაცვა და მისდამი მორჩილების პროპაგანდაა“.**

ანარქისტების უგუნურება იმდენად თვალსაჩინოა, განმარტებას არ საჭიროებს.

**5. „ფაშისტები ერს განიხილავენ როგორც ორგანულ სოციალურ ერთობას, რომელსაც ხშირად რასა განსაზღვრავს. ერი განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების არსსა და ამოცანას. ისინი ასევე თვლიან, რომ ერები იძულებულნი არიან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გადარჩენისთვის ბრძოლაში.“**

აღარ განვმეორდები, არ დავიწყებ მტკიცებას, რომ ერი სოციალური ერთობა არ არის და მის არსებობას არც რასა განსაზღვრავს (ამ საკითხზე ზემოთ ვისაუბრეთ). ნაციონალ-სოციალისტებს ეს შეხედულება იდეოლოგიურმა ზრახვებმა გაუჩინა. ნაცისტების პარტია თავს გერმანელ ერთან აიგივებდა, ის განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრების არსსა და ამოცანებს. ომისთვის ამზადებდა გერმანელებს, არწმუნებდა, რომ ერები იძულებულნი არიან, დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გადარჩენისთვის ბრძოლაში.

**სინამდვილეში ომებს ერები კი არა, სახელმწიფოები იწყებენ.**

* * *

**გატონებო, იდეოლოგიები აკნინებენ ერის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. ერი და საზოგადოება ადამიანის ბუნებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარეობენ, რის გამოც საკაცობრიო სივრცეში მთავარი ღირებულებები არიან და სახელმწიფოს დანიშნულებაა, მთავარ ღირებულებას ემსახუროს.**



**მე ვთხოვ საქართველოს ხელისუფლებას, გაითავისოს პრობლემა და სახელმწიფოში აიკრძალოს: ფაშისტური, სოციალისტურ-მარქსისტული და ლიბერალურ-მარქსისტული იდეოლოგიები, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მოქმედი ბოროტება. ჩვენ არ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, სანამ ევროპა არ დაამარცხებს ნეოლიბერალურ ბოროტებას.**

**მივმართავ ამერიკის პრეზიდენტს ბატონ ტრამპს: თქვენ მოგეცათ შესაძლებლობა, ძირფესვიანად ამოძირკვოთ ლიბერალური მარქსიზმი. თუ მას აღზევების შესაძლებლობას მისცემთ, პირველ რიგში თქვენ და თქვენს მომხრეებს გაანადგურებს. ევროპა სატანური უბედურებიდან თავს ვერ დაიხსნის. უშველეთ ევროპას! უშველეთ ევროპულ ერებს! დაჩქარებული მიგრაციული პროცესებით ისინი პოპულაციურ გადაგვარებას განიცდიან, რაც ერების გადაშენებას გამოიწვევს. მარქსიზმის იდეოლოგიური მიზანიც ეს გახლავს.**

**2025. წ. მარტი**

აი, ძველი მარქსი თავისი ინტერნაციონალური მისწრაფებებით! ჩავიხედოთ მის სოციალისტურ ტყუილებში. ჩემი ძველი საგაზეთო პუბლიკაციიდან ამოვიღებ ამონარიდს:

„კაპიტალისტურ ურთიერთობებს სათავე დაუდეს ჯეიმზ პარგრეიზმა, ჯეიმზ უაიტმა, რიჩარდ ტრევიჩაკმა, ჯორჯ სტივენსონმა ჯეთრი თარმა და სხვებმა, რომლებმაც საწარმოო და სატრანსპორტო საშუალებები შექმნეს. საზოგადოებაში ორი კლასის გაჩენის მიზეზი ეს იყო; გაჩნდა ჩარხი, გაჩნდა მესაკუთრე და გაჩნდა მუშა“. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 5 აპრილი 2017 წელი).

ფეოდალიზმის შეცვლა კაპიტალიზმით ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია და არა – იდეოლოგიურმა თეორიებმა. სოციალისტები რევოლუციებით თავს დაესხნენ პროგრესს და რუსეთში ჩარხის მესაკუთრე შეცვალეს, მუშა ისევ მუშად დარჩა. კერძო საკუთრება ფიქტიურად საზოგადოებრივ საკუთრებად აქციეს და ფაქტიურად სახელმწიფო საკუთრება გახდა. ერი კაცობრიობის ხელოვნურ დანაწევრებად აღიარეს, ღირებულება დაუკარგეს და პოლიტიკურ ერად ანუ ნაციად აქციეს, ეროვნული და საზოგადოებრივი განზომილებები სახელმწიფო განზომილებაში გადაიტანს, მსოფლიოზე გაბატონებას მუშათა დიქტატურის დამყარებით შეეცადნენ.

მადლობას ვუხდი პროფესორ **თინათინ ტყემალაძეს** გენეტიკის საკითხებში შესაბამისი ლიტერატურის მოწოდებისთვის.




# სან ფრანცისკოში პირველი „ქართული“ ტექნოლოგიური ჰაბი ამოქმედდება

## 279 სტარტაპის 43 პროცენტი ახალგაზრდობაზე მოდის!

**აშშ-ში, ქალაქ სან ფრანცისკოში საქართველოს ფარგლებს გარეთ პირველი ტექნოლოგიური ჰაბი გაიხსნება, რომლის მეშვეობით ქართული სტარტაპ კომპანიები უფრო მარტივად შეძლებენ უცხოეთის ბაზრებზე გასვლასა და საერთაშორისო ინვესტორებთან წვდომას გლობალური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრში, ე.წ. სილიკონ ველიზე. ტექნოლოგიური ჰაბის მეშვეობით შესაძლებელი იქნება საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემით გლობალური ტექნოლოგიური კომპანიების, უცხოური ვენჩურული ფონდებისა და ენჯელ – ინვესტორთა ქსელების დაინტერესება და ქვეყანაში შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა,** – ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

**„ამერიკის შეერთებული შტატები და კერძოდ, სილიკონის ველი ქართული ინოვაციური სტარტაპ ეკოსისტემის უმთავრესი პარტნიორია. აქ არის თავმოყრილი მსოფლიოს ვენჩურული კაპიტალისა და ინტელექტუალური რესურსის აბსოლუტური უმრავლესობა, შესაბამისად, ქალაქ სან ფრანცისკოში საქართველოს ინოვაციური ჰაბის გახსნა უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული სტარტაპ ეკოსისტემის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის“**, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ **ირაკლი ნადარეიშვილმა**.

ტექნოლოგიური ჰაბი, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით გახსნის, სან ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს ბაზაზე ამოქმედდება. საკონსულო სან ფრანცისკოში 2020 წლიდან ფუნქციონირებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრში – სილიკონ ველზე საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის წარმოჩენასა და ქართული სტარტაპების საქმიანობის ხელშეწყობაში. ჰაბის მეშვეობით საქართველო შეძლებს საერთაშორისო არენაზე უკეთ მოახდინოს განვითარებული ინოვაციური სტარტაპ ეკოსისტემის მქონე ქვეყნის პოზიციონირება. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანა იქნება რეგიონში, რომელიც სილიკონის ველზე ტექნოლოგიურ ჰაბს გახსნის.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელის, ავთანდილ კასრაძის ინფორმაციით, ტექნოლოგიური ჰაბის ერთი ცენტრალური ფუნქცია ქართული სტარტაპების კომპეტენციათა გაძლიერება იქნება, რაც გულისხმობს მათთვის სილიკონ ველის მენტორებთან ერთად მენტორშიპ პროგრამების გამართვას, მათ შორის, სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და ვორქშოფების ორგანიზებას. მისივე თქმით, ასევე დაგეგმილია კულტურული გაცვლა, რაც გულისხმობს საქართველოს ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენას, ქართული კულტურის საღამოებს ტექნოლოგიური ბიზნეს წრეებისთვის და ორმხრივ სტარტაპ გაცვლითს პროგრამებს.

**„სან-ფრანცისკოში, სადაც კონცენტრირებულია მსოფლიო საინვესტიციო კაპიტალის უდიდესი ნაწილი, ინოვაციების ჰაბის გახსნით ქართულ სტარტაპებს ექნებათ პირდაპირი წვდომა ინვესტორებთან, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი დაფინანსების შანსებს. ჰაბი იქნება ქართული სტარტაპების, ინოვატორებისა და მეწარმეებისთვის ერთგვარი ხიდი გლობალურ ტექნოლოგიურ ეკოსისტემაში მოსახვედრად. გრძელვადიან პერსპექტივაში, ვიმედოვნებთ, რომ ჰაბი ხელს შეუწყობს ორმხრივ ინვესტიციებს – არამხოლოდ ამერიკული ინვესტიციების მოზიდვას რეგიონში, არამედ რეგიონული ინვესტიციების მიმართვას ამერიკულ ბაზარზე“**, – აღნიშნა საქართველოს გენერალურმა კონსულმა სან ფრანცისკოში **ლევან ყულიჯანიშვილმა**.

სან ფრანცისკოში ტექნოლოგიური ჰაბის გახსნის მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდება. შედეგად, ორი სამთავრობო უწყება გააძლიერებს თანამშრომლობას საქართველოს ინოვაციური ეკოსისტემისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების და ინვესტიციებისა და ინოვაციების ხელშემწყობი ინიციატივების განხორციელების მიმართულებით.

**აღსანიშნავია, რომ დღეის მონაცემებით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში 279 სტარტაპია დაფინანსებული, რომელთა შორის ახალგაზრდების წილი 43 პროცენტია. მათი საქმიანობის შედეგად შეიქმნა 4000-მდე ახალი სამუშაო ადგილი. დაფინანსებულმა სტარტაპებმა 545 მილიონი ლარის კერძო ფინანსური სარგებელი მოიტანეს, ხოლო სააგენტოს დაარსებიდან დღემდე საგრანტო პროგრამებით სტარტაპებისთვის გაცემული თანხა 43.5 მილიონ ლარს შეადგენს.**

# ვიდრე გენერლები დუმან, ერდოღანს არაფრის არ ეშინია!..




**20 წელზე მეტია, რაც თურქეთს რეჯეფ თაიფ ერდოღანი მართავს. ამ ხნის განმავლობაში მას წარმატებაც ბევრი ჰქონდა და კრიზიც, რომლისგან ყოველთვის მშრალად გამოდიოდა ხოლმე. ქვეყანა სტაბილურად ვითარდებოდა, მაგრამ, ბოლო დროის მოვლენებმა, შესაძლოა, თურქეთის სტაბილურობა შეარყიოს.**

ერდოღანი, თურქეთის შიდა-პოლიტიკურ თამაშში, ვა-ბანკზე წავიდა: მან ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი, სტამბოლის მერი, ექრემ იმამოღლუ დააკავა, რომელსაც ქრთამის აღებასა და თაღლითობაში დასდეს ბრალი. დაკავების ორდერი სტამბულის მერიის 100 სხვა თანამშრომელზეც გაიცა. იმამოღლუს დაპატიმრებამ თურქ ხალხში პროტესტი გამოიწვია.

ერდოღანის მთავარმა ოპოზიციურმა ქემალისტურმა პარტიამ, რომლის წევრიცაა იმამოღლუ, ამ მასობრივ დაკავებებს სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაცია მისცა. ვინ არის ექრემ იმამოღლუ და ამდენმა თურქმა რატომ მიიღო მისი დაპატიმრება ასე მძიმედ? ის შთამბეჭდავი წარსულისა და მაღალი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსია. მთელი მისი პოლიტიკური ცხოვრება ქემალისტურ პარტიაში და ქალაქ სტამბულში მიმდინარეობდა. 2014-19 წლებში სტამბულის ერთ-ერთი რაიონის, ბეილი კიუ ზუს მერი იყო. 2019 წელს, პარტიამ სტამბულის მერობის კანდიდატად დაასახელა. მაშინ მისი კონკურენტი ძლიერი პოლიტიკოსი, ერდოღანის პარტიის წევრი და ქვეყნის ექს-პრემიერი ბინალი ილდირიმი იყო, მაგრამ იმამოღლუმ მაინც გაიმარჯვა, და სტამბულის მერი გახდა. მისი წარმატებით შეშინებულმა თურქეთის ხელისუფლებამ სასამართლოში იჩივლა და არჩევნები გააუქმა. ხელახალი არჩევნები ისევ იმამოღლუმ მოიგო. შედეგად, ის ქემალისტების ფაქტობრივი ლიდერი და ქვეყნის უპოპულარესი პოლიტიკოსი გახდა. თავად ერდოღანს აქვს ნათქვამი, ვინც სტამბულს მართავს, ის თურქეთსაც მართავსო. 2022 წელს, ერდოღანის მმართველმა პარტიამ, პრეზიდენტისა და მთავრობის შეურაცხყოფის ბრალდებით, იმამოღლუზე საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა და მას 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა, ვერდიქტი ძალაში ჯერ არ შესულა, რადგან ის ჯერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა უნდა დაამტკიცოს. ერდოღანმა იმამოღლუს კარიერის ბოლომდე დამუხრუჭება გადაწყვიტა და იგი ბრალდებით დააკავა. თურქეთში, პარალელებს ავლებენ მიმდინარე და 1990-იანი წლების მოვლენებს შორის. მაშინ, ქემალისტურმა მთავრობამ, ისლამისტური იდეების გავრცელების ბრალდებით, სტამბულის მაშინდელი მერი, ერდოღანი დააპატიმრა, რომლის შედეგად ის უფრო პოპულარული გახდა. ახლა, იმამოღლუს მომხრეები იმედოვნებენ, რომ სცენარი გამეორდება, მაგრამ თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტი ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც დიდ ძალას ფლობს. ერდოღანს იმამოღლუს დაპატიმრების დრო შემთხვევით არ შეურჩევია. უკრაინის ომისა და სხვა გეო-პოლიტიკური ძვრების გამო, თურქეთი დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორი გახდა, რომლის სამხედრო პოტენციალი ნატოს შესამჩნევად აძლიერებს და გავლენას ახდენს უკრაინისა და ახლო-აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტაზე.

ერდოღანის გაკიცხვა და მისი გადაკიდება ახლა, არავის არ აძლევს ხელს. მას შიდა-პოლიტიკური სადავეებიც ხელთ უპყრია. მისი მტერი მხოლოდ თურქეთის სუსტი ეკონომიკაა, რომელიც, რამდენიმე წელია, კრიზისს განიცდის. ქვეყანაში, თითქმის, 40-პროცენტიანი ინფლაციაა. ფასები რეკორდულად გაიზარდა. თურქ ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ კრიზისის მთავარი მიზეზი ერდოღანის დიდი გეოპოლიტიკური თამაშებია, თუმცა, მეორე მხრივ, ამ თამაშებმა თურქეთს დიდი ძალა და ავტორიტეტი შესძინა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები. აქ თურქეთის გენერალიტეტის აზრია გადამწყვეტი. თურქეთი ხომ შექმნის პირველივე დღიდან ავტოკრატიული დემოკრატიაა!

**1945 წლამდე, ქვეყანაში, ერთპარტიული მმართველობა იყო. თურქეთში არასოდეს არ შესუსტებულა სამხედრო მაღალჩინოსანთა გავლენა, როცა გენერლებს მთავრობის პოლიტიკური ხედვა არ მოსწონდათ, სახელმწიფო გადატრიალებას მიმართავდნენ ხოლმე. ქვეყნის ისტორია ხუთ ასეთ გადატრიალებას ითვლის. გენერლების აზრი დღესაც მნიშვნელოვანია. ისინი კი, ჯერჯერობით, დუმან.**



**ნუგზარ (ბ) რუხაძე**

**POSTV**



ПОЛИТИКА | АРМЕНИЯ

Армения между ЕС и Россией: тактический прагматизм Пашиняна

Аршалуйс Мгдесян
01.04.2025

Правительство Армении продвигает закон о начале процесса вступления в Евросоюз, одновременно подтверждая участие в торжествах Дня Победы в Москве.

# „სომხეთი რუსეთსა და ევროკავშირს შორის: ფაშინიანის ტაქტიკური პრაგმატიზმი“

გერმანული რადიოსადგურის **„დოიჩე ველეს“ (Deutsche Welle – გერმანული ტალღა)** ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„სომხეთი რუსეთსა და ევროკავშირს შორის: ნიკოლ ფაშინიანის ტაქტიკური პრაგმატიზმი“** (ავტორი – არშალუის მღდესიანი), რომელშიც განხილულია სომხეთის საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, ანუ საით მიდის სომხეთი – ევროპისაკენ აქვს გეზი აღებული თუ რუსეთისაკენ ბრუნდება? რატომ მონაწილეობს ნიკოლ ფაშინიანი ვლადიმერ პუტინთან ერთად 9 მაისის ზეიმში?

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

**მარტის ბოლოს სომხეთის პარლამენტმა მიიღო კანონი ევროკავშირში გაწევრების პროცესის დაწყების შესახებ, ამის პარალელურად კი, პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა დაადასტურა, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვში დაგეგმილ ზეიმში 9 მაისთან დაკავშირებით – ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 80 წლისთავის აღსანიშნავად.**

**როგორ უთავსდება ერთმანეთს ორი საკმაოდ წინააღმდეგობრივი საგარეოპოლიტიკური მოვლენა? „დოიჩე ველე“ შეეცადა სომხურ პარადოქსში გარკვევას.**

### სომხეთ-რუსეთის დიალოგი: საგაზაფხულო დათბობა?

**გოლო კვირებში, ორწლიანი დაძაბულობის შემდეგ, სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში ერთგვარი დათბობა შეინიშნება. ამ მხრივ საკვანძო მოვლენად იქცა 14 მარტს გამართული სატელეფონო საუბარი სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის.**

ერევნისა და მოსკოვის სატელეფონო კონტაქტის საბაბი გახდა რუსეთის ინფორმირება სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკების დასრულების თაობაზე, სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ნიკოლ ფაშინიანმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით, რათა დაედასტურებინა თავისი მონაწილეობა მოსკოვში დაგეგმილ 9 მაისის საზეიმო ღონისძიებებში. მანამდე კი ერთმანეთს ესაუბრნენ საგარეო საქმეთა მინისტრები არარატ მირზოიანი და სერგეი ლავროვი. მოსკოვმა დადებითად შეაფასა ერევან-ბაქოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების შეთანხმებული ტექსტის პროექტი, პარალელურად კი განიხილეს როგორც ორმხრივი, ასევე რეგიონული სამხრეთკავკასიური და გლობალური პრობლემები.

### სომხეთის დაახლოება ევროკავშირთან

**ერევან-მოსკოვის** ურთიერთობის აქტივიზაცია ფართო ინტერესს იწვევს სომხეთის პარლამენტის მიერ 26 მარტს მიღებული კანონის „ევროკავშირში სომხეთის რესპუბლიკის გაწევრების პროცესის დაწყების შესახებ“ ფონზე. ეს დოკუმენტი პროევროპული ძალების მიერ შემუშავდა და სანამ პარლამენტში შეიტანდნენ, მოქალაქეთა 52 ათასი ხელმოწერა შეაგროვა. სომხეთის ხელისუფლება მის მიღებას განიხილავს როგორც პრაქტიკულ რეალიზებად კონცეფციისა – „დაბალანსებული და გაწონასწორებული“ საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მაგრამ მოსკოვში სხვაგვარად ფიქრობენ და კანონს აღიქვამენ სიგნალად სომხეთის საგარეოპოლიტიკური ვექტორის სავარაუდო ცვლილებად – რუსეთის დასავლეთით ჩანაცვლებად. ასევე არ არის გამორიცხული ერევნის გასვლა იმ სტუქტურებიდან, რომლებშიც მოსკოვი დომინირებს, „ეაეს“-ის („ევრაზიისკიი ეკონომიჩესკიი სოიუზ“ – **რუს**.) ჩათვლით. სხვათა შორის, რუსეთის ვიცე-პრემიერმა ალექსი ოვერჩუკმა 27 მარტს განაცხადა, რომ სომხეთს მოუწევს არჩევანი გააკეთოს „ეაეს“-სა და ევროკავშირს შორის. **„თუ სომხეთი მტკიცედ აირჩევს ევროკავშირის წევრობას, მაშინ მოსკოვი იძულებული გახდება ერევანთან ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსს გადახედოს“,** – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა. მან ხაზი გაუსვა სომხეთის ეკონომიკურ სარგებელს და შეღავათებს რუსეთთან ურთიერთობაში და ციფრები მოიშველია: 2024 წელს რუსეთ-სომხეთის ვაჭრობის მოცულობა 50%-ით გაიზარდა და 12,7 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც სომხეთის საგარეო ვაჭრობის ერთ მესამედს შეადგენს.

### სომხეთი-ევროკავშირი: განზრახვა თუ გაურკვევლობიდან გამოსვლა?

**რეზონანსულ** სამართლებრივ აქტს, რომელიც სომხეთის პარლამენტმა მიიღო და კანონად გადააქცია, ოპოზიცია მწვავედ აკრიტიკებს, მათ შორის იმის გამოც, რომ მას დეკლარაციული ხასიათი აქვს.

**„ევროკავშირში სომხეთის რესპუბლიკის გაწევრების პროცესის დაწყების შესახებ“ კანონი, თავისი არსით, მხოლოდ განზრახულობათა დეკლარაციას წარმოადგენს და არა სრულყოფილ კანონს. ის არ შეიცავს რაიმე ვალდებულებას და რეალიზების მექანიზმს“,** – ამბობს „დოიჩე ველესთან“ საუბარში არცვიკ მინასიანი, ოპოზიციური ფრაქციის წევრი. იმავდროულად მან ხაზი გაუსვა, თუ როგორ განსხვავდება სომხეთის ამჟამინდელი მდგომარეობა კოპენჰაგენის კრიტერიუმებისგან, რომლებსაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა აუცილებელად უნდა აკმაყოფილებდეს. **„ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება ითხოვს თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას უკვე მოქმედი სომხეთ-ევროკავშირის პარტნიორობის შეთანხმების ჩარჩოებში და არა ხმამაღალ განცხადებებს, რომელიც საკანონმდებლო აქტებითაა „შეფუთული“,** – დარწმუნებულია ოპოზიციური პოლიტიკოსი, – **მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება გეოპოლიტიკური დაძაბულობის პირობებში არა მარტო არ მოუტანს რეალურ სარგებელს ქვეყანას, არამედ დამატებითი კონფლიქტების რისკს ქმნის საერთაშორისო არენაზე“.**

განსხვავებული აზრი აქვს პარტიის „რესპუბლიკის სახელით“ თავმჯდომარეს არმენ ბაბაჯანიანს, რომელიც ევროკავშირში გაწევრების კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორია. მან მიღებული დოკუმენტი „სომხეთის გაურკვეველი ზონიდან გამოსვლად და მკაფიო საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაკავებად“ შეაფასა, რომელიც ეფუძნება უსაფრთხოებას, ეკონომიკურ განვითარებას და რეალურ სუვერენიტეტს.

### მოსკოვში, 9 მაისს: ფაშინიანის პოლიტიკური პრაგმატიზმი

**ექსპერტები** ნიკოლ ფაშინიანის მოსკოვში დაგეგმილ ვიზიტს, 9 მაისის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, სომხეთის რუსეთისაკენ შებრუნების ინდიკატორად არ განიხილავენ. ტიგრან გრიგორიანის თქმით, „ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ სომხეთის ხელისუფლება პოლიტიკურ პრაგმატიზმს ამჟღავნებს“.

**„სომხეთის მოქმედება განპირობებულია ცვალებადი გეოპოლიტიკური ლანდშაფტით დონალდ ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის ფონზე, ასევე უკრაინის ომის პოლიტიკური დარეგულირების შესაძლებლობით და აშშ-ის ადმინისტრაციის აქტიურობის მოსალოდნელი დაქვეითებით, მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც“,** – განმარტავს ტიგრან გრიგორიანი, – „სომხეთი იძულებულია გაითვალისწინოს სხვადასხვა სცენარები და სიფრთხილით იმოქმედოს გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ზრდის პირობებში“.



**მოამზადა**

**სიმონ კილაძემ**

# ჰოდა, პირიქით!

**ჰოდა, უდროობას რა ვუთხრა, თორემ ზღაპრების წიგნი ორჯერ უნდა წაიკითხო ადამიანმა. დამამთავრებინეთ აზრი, ნუ იჩქარებთ შეკამათებას – თვითონაც კარგად ვიცი, ორჯერ კი არა, ზოგიერთი ზღაპარი, ვინ იცის, რამდენჯერ გვაქვს წაკითხული ბავშვობაში. მაგრამ აქ სხვა რამეს ვგულისხმობ: ზღაპარი ორ სხვადასხვა ასაკში უნდა წაიკითხო – ბავშვობაში და დიდობაში. ბავშვობაში ზღაპარს სხვაგვარად ვკითხულობთ, დიდობაში – პირიქით – სხვაგვარად.**

**ჰოდა, ამასწინათ ჩემმა ლიტერატურულმა აგენტმა და მეგობარმა მანანა კარტოზიამ თავისი ზღაპრების წიგნი გამომიგზავნა, რომელსაც ისეთი სათაური ჰქვია, ბავშვებსაც დააინტერესებს და უფროსებსაც. ოღონდ – პირიქით: „წავუკითხოთ უფროსებს“. ჩვეულებრივ, უფროსები უკითხავენ წიგნებს ბავშვებს, აქ კი – ბავშვებს მოუწოდებენ: წავუკითხოთ უფროსებსო! ან იქნებ პირიქით – უფროსებსაც მოუწოდებენ – არ არის ეს საბავშვო ზღაპრები და ბავშვებს კი არა, ერთმანეთს წაუკითხეთო.**

ჰოდა, ერთი შეხედვით ეს მართლაც ასე ჩანს, ზღაპრები თავიანთი შინაარსით, თავიანთი მიზანდასახულობით მართლა საუფროსო ჩანს, მაგრამ ამავე დროს წიგნის მშვენიერი ილუსტრაციები, სწორედაც ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. ეტყობა იმიტომ, რომ უფროსებისთვის ზღაპრების კითხვაში ბავშვებმა ძალიან არ მოიწყინონ და თავადაც ისიამოვნონ. და პირიქით: მერე უფროსებიც ასიამოვნონ.

ჰოდა, ამ ჭკუისსასწავლ წიგნში სულ შვიდი ზღაპარია. უფრო სწორად, პირიქით – მთელი შვიდი ზღაპარი, რადგან არავინ იცის, რამდენია ეს შვიდი – ბევრი თუ ცოტა. იქნებ ვინც უკითხავს, იმისთვის ბევრია და ვისაც უკითხავენ, იმისთვის ცოტა. ან პირიქით. ბევრია თუ ცოტა, ზღაპარი შვიდია: „ოფელინა“, „მატრაკვეცა მაკრატელი და ბოხხმიანი ბოქლომი“, „შერიგება“, „პირველობის ასპარეზი“, უკანასკნელი მოგზაურობა“, „აბჯარასხმული ია“ და, რაღა თქმა უნდა, „ქოჩორა ჩოჩორი და ჩოჩორი ნესტორა“.

ჰოდა, „რაღა თქმა უნდა“ იმიტომ, რომ პირველი სიტყვა, რომლითაც ავტორი თავისი ზღაპრების წინასიტყვაობას იწყებს, სწორედ „ჩოჩორია“: „ჩოჩრების, კუების, ბატკნების, მამლების, იის, სპილოს, თუთიყუშის, ბოქლომისა და მაკრატლის ზღაპრული თავგადასავლები სწრაფად, სულმოუთქმელად იწერებოდა, წიგნად ქცევას კი დიდი დრო დასჭირდა. ვიცოდი, მხატვარი გატაცებით და მუყაითად შრომობდა. ამიტომ მოთმინებით ველოდი ილუსტრაციების შესრულებას“.

ჰოდა, კარგია რომ ელოდი, პატივცემულო მეზღაპრევ, თორემ უამილუსტრაციებოდ ეს ტექსტები ძალიანაც კარგი კი იქნებოდა, მაგრამ დღევანდელი ფერად-ფერადი გამოცემებით განებივრებული ბავშვი წიგნს ხელში არ აიღებდა და უფროსებს ვინღა წაუკითხავდა?! ღირდა ლოდინად ასეთი ილუსტრაციები, ღირდა ლოდინად ასეთი ჩოჩრები და კუები, ცხვრები და ძაღლები, სპილოები და თუთიყუშები, იები და პეპლები, მამლები და დედლები ან პირიქით – დედლები და მამლები.

ჰოდა, დიდი მადლობა წიგნის მხატვარ ილუსტრატორს ან პირიქით – ილუსტრატორ მხატვარს ია გიგოლაშვილს, რომელმაც უფროსებისთვის წასაკითხი ტექსტი საბავშვო სურათებადაც გააცოცხლა. და კიდევ უფრო პირიქით – დიდი მადლობა წიგნის არტრედაქტორს გესო დანელიას, რომელმაც ეს სურათები თავისი ტექსტიანად, ან პირიქით – ტექსტი თავისი სურათებიანად – მშვენიერ საბავშვო-საუფროსო წიგნად ან პირიქით – საუფროსო-საბავშვო წიგნად აქცია.

ჰოდა, რატომ ეს მოტავტოლოგიო „პირიქით“: ჩემი უფროსი შვილიშვილი ერეკლე წამდაუწუმ ხმარობს ამ სიტყვას, ძალიან შეუყვარდა: პირიქით და პირიქით! გინდა ვაშლი, ეკეკე? პირიქით, კანფეტი მინდა! ეკე, წამო, ძაღლი გავასეირნოთ! პირიქით – ტელევიზორს უნდა ვუყურო! ეკეკე, ძილის დროა! პირიქით – ძილის დროა! ერეკლემ ჯერ წერა-კითხვა არ იცის, რომ ეს წიგნი წამიკითხოს, ამიტომ პირიქით – სანამ წერა-კითხვას ისწავლის, ჯერ მე წავუკითხავ. არც თქვენმა შვილიშვილებმა გაუშვან ეს შანსი ხელიდან – ამ ტექსტის მკითხველებს მივმართავ.

**ჰოდა, რაგინდ ძილის დრო იყოს პატარებისთვის თუ პირიქით – დიდებისთვის, ეს ზღაპრები არ არის ძილის წინ წასაკითხი და ძილის მოსაგვრელი ზღაპრები. პირიქით – როგორც ნინია სადღობელაშვილი წიგნის ბოლოსიტყვაობაში წერს: „ზღაპარი იმის ზღაპარია, რომ მასში ჯადოსნური და დაუჯერებელი ამბები უნდა ხდებოდეს. თუმცა, რაც უფრო ყოფითი და ჩვეულებრივია გარემო, მით უფრო მძლავრია ხოლმე მისი ზღაპრად ქცევის პროცესი. მანანა კარტოზიას ზღაპრებში ეს ორი შრე – სინამდვილე და გამონაგონი – ერთმანეთს ოსტატურად ეხამება. აქ ბევრი რამ არის ნაცნობიც და ყოფითიც. თუმცა მთელი ხიბლი სწორედ ის არის, რომ ავტორი მათ ზღაპრული ენერგიით მუხტავს და პატარა მკითხველის ყურადღებას მოულოდნელ პლასტებზე ამახვილებს“...**

ჰოდა, ეს „პლასტები“: გამიკვირდა, რომ წიგნში ეს სიტყვა განმარტებული არ არის. ან პირიქით – შეგნებულად არ არის განმარტებული, რომ ბავშვმა თვითონ მოძებნოს ეს სიტყვა ლექსიკონში ან პირიქით – თუნდაც გუგლში. ხოლო თავად ზღაპრებში ნახსენები არაერთი სიტყვა კოხტად არის განმარტებული თითოეული ზღაპრის ბოლოს დართულ ლექსიკონში, რომელსაც, როგორ ფიქრობთ, რა ჰქვია?! რა ჰქვია და, „ზღაპრების სიტყვანი – აი ია“.

ჰოდა, ამ აი-იაში, რომელიც არც წიგნის ილუსტრატორი ია გიგოლაშვილია და არც აბჯარასხმული ია, განმარტებულია ისეთი სიტყვები, როგორიცაა, ვთქვათ: აბჯარასხმული, პოდიუმი, ნარშავა, ლაბირინთი, ჭავლი, რუმბი, ტანგო, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, მადრიდი, კორიდა, საჭურჭლეთმტვირთველი, აღლუმი, მოწყალების და, ეკოხულიგანი, დონჟუანი, ელიტა, ცუნამი, ვუალი, პერგამენტი, პეწი, პარაზიტი, მონანიება, ეგოისტი, ფეშენებელური, საკადრისი, ამბიციური, ირიჟრაჟა, ვერდიქტი, გუმანი, „ნეშნელ ჯიოგრაფიკ“, პლანეტა, ნაშიერი, მარადისობა, წითელი წიგნი, ლანდშაფტი, კოლეგა...

ჰოდა, ეს და სხვა სიტყვები, არ დამეზარა – დავითვალე – სულ 191, ისე კოხტად არის განმარტებული, რომ ბავშვს მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება. მაგალითად: „ლექსიკური სალარო – ამა თუ იმ ენის სიტყვების ერთობლიობა. ძველად: სალარო – იგივეა, რაც საუნჯე, ანუ განძი, სიმდიდრე. გადატ. – ძალიან ძირფასი რამ.“ გარდა ამისა, აქ არის განმარტებული ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ბავშვებმა კი არა, ჩემმა ბეჩავმა სტუდენტებმა არ იციან, მაგალითად – ლანდშაფტი ან ბეჩავი, ან პირიქით. და კიდევ უფრო პირიქით: აქ არის განმარტებული სიტყვა, რომელიც მეც არ ვიცოდი აქამდე: ქვილთი – დეკორატიული კერვის ტექნიკა ფერად-ფერადი ქსოვილის ნაჭრებით.

ჰოდა, ჩემს სტუდენტებს, ან პირიქით – სხვათა სტუდენტებს და საზოგადოდ უფროსებს ძალიან გამოადგებათ წიგნის 100-101 და 104-105 გვერდებზე დაბეჭდილი ტიპური ორთოგრაფიული შეცდომები, როგორიც არის, მაგალითად, „ფეღბურთი“ ან „ფაქტიურად“, გნებავთ – პირიქით: და აგრეთვე სიტყვების რვა წყვილი, თავისი განმარტებებით, საიდანაც გავიგებთ ან გავიხსენებთ, რომ „გალხვა“ სხვაა და „გალღვა“ – პირიქით. „არღანი“ სხვაა და „ორგანი“ – პირიქით. „ცერემონია“ სხვაა და „ცერემონიალი“ – პირიქით. „ეპიგრამა“ სხვაა და „ეპიგრაფი“ – პირიქით. „ნაკრები“ სხვაა და „ნაკრეფი“ – პირიქით. „ცივილური“ სხვაა და „ცივილიზებული“ – პირიქით. „პატრონაჟი“ სხვაა და „პატრონატი“ – პირიქით. „ტალავარი“ სხვაა და „ტალავერი“ – პირიქით. მართლა ძალიან გამოადგებათ ეს ყველაფერი უფროსებს და პირიქით – ძალიან უფროსებსაც. და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო პირიქით – ბავშვები რომ გაიზრდებიან, ეს ყველაფერი მათაც ძალიან გამოადგებათ.

**ჰოდა, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში წერს, „წიგნის დამაგვირგვინებელი გამოვიდა „ზღაპრების სიტყვანი“ – ტექსტში შავი შრიფტით საგანგებოდ გამოვყავით სიტყვები, რომელთა განმარტებებს თითოეული ზღაპრის ბოლოს გთავაზობთ. „სიტყვანი“ რედაქტორმა შეადგინა. მისი განმარტებებისა და ლექსიკური დაზუსტების შემდეგ ზოგიერთი სიტყვის შეცვლაც კი დამჭირდა. უნდა გაგიმხილოთ, ზღაპრების ერთი-ერთი გმირის, აბჯარასხმული იის პროტოტიპი სწორედ ჩემი წიგნების რედაქტორი და მეგობარია“.**

ჰოდა, ვინ არის ეს აბჯარასხმული ია? ვინ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში კარგად ცნობილი ელზა ნაზახტეველი – ბრწყინვალე რედაქტორი და სტილისტი, რომელსაც, მეზღაპრის სიტყვებით, ლეპიდოპტეროლოგიის ანუ პირიქით – პეპელათმცოდნეობის კურსი ჩაბულბულებული, გნებავთ, პირიქით – ჩაიადონებული უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ქართული სტილისტიკის ნამდვილი ლეპიდოპტეროლოგის მიერ შედგენილი ლექსიკონი ისე მოუხდა ზღაპრების წიგნს, როგორც იყო-და-არაიყო-რა ან პირიქით – ჭირი-იქა-ლხინი-აქა. არადა, მე ზღაპრების წიგნის ლექსიკონით აღჭურვა არ გამიგია. ან პირიქით – ლექსიკონი არ გამიგია ზღაპრების წიგნში! მაგრამ ეს ხომ უფროსებისათვის განკუთვნილი ზღაპრების წიგნია!




**ჰოდა, მერე თავის წინასიტყვაობაში წიგნის ავტორი, ანუ პირიქით – ჩემი მეგობარი და კოლეგა (იხ. ამ სიტყვის განმარტება წიგნის 93-ე გვერდზე) იმ აბზაცს ასე აგრძელებს: „პროტოტიპები საერთოდ გარს მახვევიან და ჩემი სახასიათო შტრიხებიც (ეს სიტყვა, „პლასტისა“ არ იყოს, არ არის განმარტებული, რაკიღა ზღაპრის ტექსტში არც ერთი არ არის – პ.ნ.) თამამად დავუნაწილე წიგნის გმირებს, თუმცა ვეცადე, რომ ამით ძალიან არ დავშორებოდი მათ რეალურ ბუნებას“.**

ჰოდა, მგონია, რომ ზოგიერთი ამ წიგნში თავის თავს ან ოფელინაში იცნობს, ან სპილოში, ან პეპელაში, ან კუში, ან თუთიყუშში, ან პირიქით – ცხვარში ან მაკრატელში, ან ბოქლომში, ან რა ვიცი – რაში აღარ. მატრაკვეცა მაკრატლის სახეში კი ალბათ ბევრი მკითხველი იცნობს საკუთარ თავს: „მატრაკვეცა მაკრატელს გამუდმებით აღიზიანებდა შეგონება-მოთხოვნა: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი! ასჯერ კი არა, ერთხელაც არ შეეძლო, გულდადინჯებით რაიმე გაეზომა. გაჭრიდა და მერე ფიქრობდა, რა შეიძლებოდა გამოეყვანა ნაკუწებიდან, ხელში რომ შერჩა. ფანტაზიები დაუსრულებლად აღმა-დაღმა მიაქანებდა. ხშირად წარმოუდგენელ მიზნებს ისახავდა, ზოგჯერ აღწევდა კიდეც, რადგან თავგამეტებით და შეუპოვრად მიილტვოდა მისკენ, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ შეაკავებდა“.

ჰოდა, აკი მართლა ვერაფერმა ვერ შეაკავა სათქმელი და მანანა კარტოზიამ საამისოდ ამ შემთხვევაში მისთვის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა – ზღაპარი აირჩია. ზღაპარი კი არის მოსახერხებელი, მაგრამ საკმაოდ რთული ჟანრია, მით უმეტეს, რომ ყველაზე კარგი ზღაპრები უკვე კარგა ხნის დაწერილია – საბავშვოებიც და პირიქით – სადიდოებიც. ცნობილი გამოთქმაა: ბავშვებისთვის უნდა წერო ისევე, როგორც დიდებისთვის, ოღონდ უკეთესად. და პირიქით. განსაკუთრებით მაშინ, თუ შენი ზღაპრები, უპირველეს ყოვლისა, უფროსებისთვის არის განკუთვნილი.

ჰოდა, სწორედ უფროსებისთვის არის ბოლომდე გასაგები ამ ზღაპრებში მოქცეული არაერთი სიტყვა თუ გამოთქმა. მაგალითად: „უჭრაში ტრადიცია იყო დამკვიდრებული – შინ დაბრუნებული ყველა ჰყვებოდა, რა ნახა, რა გაიგონა, რას ფიქრობდა“. ან კიდევ: „საიდან აღარ ჩამოვიდნენ სახელოვანი ვირები“, ან პირიქით – „საქართველოში ბევრი სახელოვანი ვირი მეგულება“. ღრუბლებზე ჩამომსხდარ სპილოებზე აღარაფერს ვიტყვი, არც იმ ვარიაზე – ვარვარა რომ ჰქვია, ან პირიქით – იმაზე, თუ როგორ გამოუგზავნა ბოქლომს ბედმა შემთხვევის ანგელოზი.

ჰოდა, თავიდან მეც ვერ შევამჩნიე – წიგნის ფორზაცებზე მდინარის აგორებული ტალღებით დაწერილი სიტყვები: „ალაზანო და ალაზანოო“ ან პირიქით – „ალაზანოო და ალაზანო“... თითქოს ამ ზღაპრებით ავტორმა თავისი ცუდი ან გაუგებარი სიზმრები თუ ცხადი მოუყვა ალაზანს და წყალმაც წაიღო ის სიზმრები შორს-შორს-შორს და მზეზე სხივებად არეკლილები კარგად აუხდინა. ალაზანი ხომ დიდია. ან პირიქით – დიდია ალაზანი.

ჰოდა, აქ ის ხალხიც უნდა ჩამოვთვალო, ვისაც ამ ქარაგმული წიგნის სავარაუდო პერსონაჟებთან გაიგივება არ სჭირდება და ვინც წიგნის მეორე გვერდზე საკუთარი სახელითა და გვარით არის წარმოდგენილი. თუმცა ია გიგოლაშვილის, გესიკ დანელიასა და ელზა ნაზახტეველის სახელები ზემოთ უკვე დავასახელე. აქ კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მათ მადლობა ასეთი მშვენიერი წიგნის შექმნისათვის. და პირიქით – მადლობა უნდა ვუთხრათ გამომცემელს შორენა შავერდაშვილს და სტამბა „სეზანს“, სადაც იგი დაიბეჭდა. და, რაც მთავარია, პირიქით – დიდი მადლობა საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომლის ხელშეწყობითაც განხორციელდა ეს პროექტი.

**ჰოდა, ბოლოს მთავარი და კვანძის გახსნა (ამ სიტყვათშეთანხმების განმარტება იხ. წიგნის 23-ე გვერდზე): ბავშვებო, თუ სადმე ამ წიგნს გადააწყდით, წაუკითხავი არ გაუშვათ. და პირიქით – უფროსებო, თუ რომელიმე ბავშვმა თქვენთვის ამ წიგნის წაკითხვა გადაწყვიტა, კარგად დაუგდეთ ყური. უფროსებო, ეს წიგნი პირველად დიდუბის საგამოფენო პავილიონში იქნება გამოტანილი წიგნის ბაზრობაზე 29 მაისიდან 1 ივნისამდე და უყიდეთ ბავშვებს, რომ პირიქით – მათ ეს ჭკვიანური ზღაპრები მერე თქვენ წაგიკითხონ.**

ჰოდა, ზემოთ ლიტერატურული აგენტიმეთქი მანანა კარტოზიაზე ვთქვი. ის დიდი ხანია ნებაყოფლობით ასრულებს ჩემი ლიტერატურული აგენტის ფუნქციას, მაგრამ წელს ჩვენ ეს ფუნქცია ზეპირი შეთანხმებით გავაფორმეთ კიდეც. ასე რომ, იცოდეთ – მანანა კარტოზია ჩემი ლიტერატურული აგენტია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით! საქართველოში ეს ინსტიტუტი ჯერჯერობით არ არის პოპულარული და დაე, ვიყოთ პირველები. ხოლო თუ არსებობს და არ ვიცით, ვიყოთ მეორეები თუ მესამეები... ბოლო დროს საქართველოში ისეთი სიტუაციაა, აგენტი რომ იყო, თუნდაც ლიტერატურული, არააგენტად უნდა მოაჩვენო ყველას თავი, ხოლო მანანა კარტოზია პირიქით – ლიტერატურულ აგენტობაზე ხალისით დამთანხმდა. იცის, რომ იმავეს კეთება მოუწევს, რასაც მრავალი წლის განმავლობაში აკეთებდა და პირიქით – უფრო მეტისაც.

ჰოდა, ამ ტექსტში შევეცადე, მეჩვენებინა, რას უნდა აკეთებდეს ლიტერატურული აგენტი და როგორ უნდა შეუმსუბუქოს ლიტერატორს – მწერალი იქნება თუ ჟურნალისტი – ურთიერთობა გამომცემლობებთან თუ რედაქციებთან, სტამბებთან თუ მკითხველებთან, ავტოგრაფებზე მონადირეებთან თუ მთარგმნელებთან, ფანებთან თუ ფანფარონებთან, რათა მეტი დრო დაუტოვოს შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ამავე დროს იზრუნოს თავისი მარწმუნებლის მივლინებებისა თუ შეხვედრების ორგანიზებისათვის, წიგნის ფესტივალებში მონაწილეობისათვის, სატელევიზიო გამოსვლებისათვის, მისი წიგნების ანოტაციების, რეცენზიებისა თუ სარეკლამო ტექსტების შესადგენად, მოკლედ – მისი პოპულარიზაციისათვის.

**ჰოდა – ამ შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა! გამომცემლობა და გამომცემლებთან შუამდგომლობა ან სტამბაში დახმარება მანანა კარტოზიას ანუ პირიქით – ჩემს ლიტურატურულ აგენტს – არაფერში სჭირდება, წერა-კითხვა სხვაზე კარგი იცის და რაღა დარჩა! – გამოვაქვეყნებ ახლა ამ რეცენზიას ჯერ ფეისბუქზე, მერე რომელიმე ჟურნალში ან გაზეთში და პირიქით – მკითხველთა თვალში სწორედ მე გამოვდივარ მისი ლიტერატურული აგენტი.**

**ჰოდა, ჭირი იქა, ლხინი აქა. ჰოდა, ამ შემთხვევაში არავითარი პირიქით!**



**პაატა ნაცვლიშვილი**

# სპორტი



## ასეც უნდა მომხდარიყო

**ქართული ფიგურული სრიალის ბოლოდროინდელ წარმატებათა გვირგვინად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მიწვევა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე, რომელსაც 17-20 აპრილს ტოკიო უმასპინძლებს.**

აღსანიშნავია, რომ იაპონიის დედაქალაქში პლანეტის ელიტა შეიკრიბება ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, საფრანგეთის, იტალიისა და საკურების შემადგენლობით და საამაყოა, რომ მათ კოჰორტას ჯვაროსნებიც დაამშვენებენ.

შეგახსენებთ, რომ ახლახან ბოსტონის ყინულზე დასრულებულ მუნდიალზე 3 დისციპლინაში მოვიპოვეთ ოლიმპიური ლიცენზია, მის შედეგებთან ერთად კი საუკეთესოთა ექვსეული ევროპულ ფორუმსა და სეზონის გრან პრის სერიების მონაგრის გათვალისწინებით შეირჩა.

ვულოცავთ სამწვრთნელო შტაბსა და ფედერაციის პრეზიდენტს **მაკა გიორგობიანს** მორიგ დაფასებას.

## მწვრთნელი ბედნიერია

**ლისაბონის „სპორტინგის" მთავარმა მწვრთნელმა რუი ბორჟესმა გიორგი ქოჩორაშვილზე კომენტარი გააკეთა.**

როგორც მან თქვა, ქართველ ფეხბურთელს კარგა ხანს აკვირდებოდნენ და სჯერა, რომ ის „სპორტინგს" გააძლიერებს: **„გვარს ვერ ვიტყვი, რთულად გამოითქმის (იღიმის – რედ). ქოჩორაშვილი კლუბმა რამდენიმე ხნის წინ შეამჩნია, რომელსაც, სხვა დროსაც უკვე ვაკვირდებოდით. კონკურენტუნარიანი ფეხბურთელია, გოლების გატანა შეუძლია, ტექნიკური ხარისხი აქვს. გვჯერა, რომ ის დიდ წვლილს შეიტანს და „სპორტინგისთვის" აქტივი იქნება. კლუბს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ტრანსფერი გაეჩარხა და ამით ბედნიერი ვარ.**

**იანვარში ფეხბურთელებს არავინ უშვებს, მით უმეტეს, კლუბები, რომლებიც დივიზიონში გადასასვლელად იბრძვიან, ამიტომ, იანვარში ტრანსფერის დახურვა რთული იყო. ახლა წინ მივდივართ, და კიდევ ორი ფეხბურთელი შემოგვიერთდება, რომლებიც მომავალ სეზონში დაგვეხმარებიან"**, – თქვა ბორჟესმა.

შეგახსენებთ, რომ ლისაბონის „სპორტინგს" გიორგი ქოჩორაშვილი პირველი ივლისიდან შეუერთდება, მიმდინარე სეზონს კი, „ლევანტეში" დაასრულებს.



## ნამდვილად დავიმსახურეთ

**საქართველო კალათბურთში 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

16 საუკეთესო ნაკრები მიმდინარე წლის 8-16 აგვისტოს თბილისში შეიკრიბება და კონტინენტის ჩემპიონს გამოავლენს.

ამის შესახებ განცხადებას ავრცელებს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია: **„საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ზედიზედ მეორე წელია, A დივიზიონშია და კალათბურთის ფედერაციას სურვილი ჰქონდა, ფინალური ეტაპის მონაწილეებისთვის თბილისში ემასპინძლა. ჩვენმა ფედერაციამ ფიბა-ს აღმასრულებელ კომიტეტთან და მთლიანად, ხელმძღვანელობასთან ამ მიმართულებით დიდი სამუშაო გასწია, რის შემდეგაც, ევროპული კალათბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. ფიბა-მ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს არაერთი უმაღლესი დონისა და მასშტაბის საერთაშორისო ტურნირისთვის წარმატებით უმასპინძლია და ჩვენთვის ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: საქართველო ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის A დივიზიონს პირველად უმასპინძლებს."**

# „რბილი გზა" საქართველოში

## 90 წლის წინათ გაკვალული...

**ამერიკის კონტინენტზე ძიუდო მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა. 1903 წელს მეწარმე სამუელ ჰილმა იოსიაკი იამასიტა ვაჟიშვილისთვის ძიუდოს მასწავლებლად მიიწვია. იაპონელი ცნობილი იყო, როგორც კოდოკანის პირველი სტუდენტი, რომელმაც სცადა, წლის განმავლობაში 10.000 ორთაბრძოლა ჩაეტარებინა და მიზნამდე ცოტა დააკლდა – 9617-ჯერ შეხვდა მეტოქეებს.**

იამასიტა ჩავიდა ამერიკაში, მაგრამ მეწარმის მეუღლეს არ მოეწონა ჭიდაობის ეს სახეობა – ძალიან სასტკი და უხეშიაო. ხელშეკრულება ჩაშალა, სამაგიეროდ, სხვა სამუშაო გამოუძებნა სტუმარს – ამერიკის 26-ე პრეზიდენტ თეოდორ რუზველტს (1901-1909) შეახვედრა, რომელიც იაპონიის საბრძოლო ხელოვნებებით ყოფილა დაინტერესებული. კოდოკან ძიუდოს ნახვა მოუსურვებია.

პრეზიდენტის წინადადებით, იამასიტა ამერიკელ ფალავანს დააჭიდეს. ეს უკანასკნელი იაპონელზე ორჯერ მძიმე ყოფილა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელს ოკეანისგაღმელი ბეჭებზე დაუწვენია.

რუზველტს ეს ორთაბრძოლა იმდენად მოსწონებია, რომ მისი წინადადებით იამასიტა ამერიკის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში ძიუდოს მასწავლებლად მიუწვევიათ და ანაზღაურებად 5000 დოლარი დაუნიშნავთ, რაც, მაშინდელი მაჩვენებლებით, სამეფო ხელფასი იყო. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ – 1952 წელს სპორტის ამ სახეობაში ამერიკის პირველი ჩემპიონატი (ჰავანა) გაიმართა.

ძიუდოში პირველი სამი მსოფლიოს ჩემპიონატისას წონითი კატეგორიები არ იყო. 1956 წელს პლანეტის უძლიერეს კიმონოიანთა პირველ შეჯიბრებას ტოკიომ უმასპინძლა. ჩემპიონობა მასპინძელმა სიოძი ნაცუიმ მოიპოვა, ორი წლის შემდეგ ისევ იაპონიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კოძი სონე (იაპონია) ავიდა. 1961 წელს მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაიმართა, სადაც ყველას ჰოლანდიელმა ანტონ ჰეესინკმა აჯობა – ფინალში სონეს მოუგო. ამ მარცხმა იაპონელები აიძულა, ძიუდოში წონითი კატეგორიები შემოეღოთ. მსოფლიოს მე-4 ჩემპიონატი 1965 წელს რიო დე ჟანეიროში (ბრაზილია) უკვე 4 წონაში ჩატარდა. ოქროს მედლები მოიპოვეს ხიროფუმი მაცუდამ (68 კგ, იაპონია), ისაო ოკანომ (80, იაპონია), ანტონ ჰეესინკმა (+80, ჰოლანდია) და ისაო ინოკუმამ (აბსოლუტური, იაპონია), რომელმაც ფინალში ანზორ ქიბროწაშვილს სძლია. ბრინჯაო ანზორ კიკნაძეს ხვდა.

1960 წელს რომში ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას სოკ-ის 58-ე სესიაზე გადაწყდა, რომ 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის პროგრამაში ძიუდო შეეტანათ.

1961 წელს საბჭოთა კავშირი ევროპის ძიუდოს კავშირის წევრი გახდა. იმავე წელს ის საერთაშორისო ფედერაციის წევრადაც მიიღეს, არადა, იმ კონგრესზე ფედერაციის პრეზიდენტი რისეი კანო (ძიგორო კანოს ვაჟი), რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ კოდოკანის სკოლის დირექტორი გახდა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მასზე ფრანგი პოლ მორი-ბონეს ულტიმატუმმა იმოქმედა – რუსებთან ერთად კონგრესის დარბაზს ევროპის კავშირის წევრებიც დავტოვებთო.

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" №47-48**



შოთა ჩოჩიშვილის ოქროს გდება

### ევროპის პირველი ქართველი ჩემპიონები

**1962 წელს საბჭოთა კავშირს საფრანგეთის ძიუდოისტთა ნაკრები ეწვია. სტუმრები მოსკოვში (8 აპრილი) 2:6 დამარცხდნენ. ფრანგებს კიევშიც (10 აპრილი, 2:6) მოეცარათ ხელი, ხოლო ორი დღის შემდეგ თბილისში (12 აპრილი) 3:5 წააგეს.**

საბჭოთა ნაკრებმა ვლადლენ ანდრეევის ხელმძღვანელობით დაიწყო მზადება ევროპის 1962 წლის XI ჩემპიონატისთვის, რომელიც გერმანულ ესენში 12 მაისს გაიმართა. საკავშირო გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ვალერი ნატალენკო, რობერტ ჯღამაძე (68 კგ), ილია ციპურსკი, ალფრედ კარაშჩუკი (80 კგ), ბორის შაპოშნიკოვი (+80 კგ), ბორის მიშჩენკო, დურმიშხან ბერუაშვილი (I დანი), ანზორ ქიბროწაშვილი, გენრიც შულცი (II დანი), ანზორ კიკნაძე, ალექსანდრ ლუკაშევიჩი (აბსოლუტური პირველობა).

ესენში საბჭოთა ძიუდოისტებიდან ევროპის პირველი ჩემპიონები (10-წუთიანი სხვაობით) გახდნენ ანზორ ქიბროწაშვილი და ანზორ კიკნაძე. ამ შეჯიბრების შემდეგ ჩვენმა ფალავნებმა ძიუდოისტთა საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ ისახელეს თავი, რასაც ისინი ქართულ ჭიდაობას უმადლიან [8].

### სამბო და ქართული ჭიდაობა

**1938 წლის ივნის-ივლისში მოსკოვმა ძიუდოს მწვრთნელთა საკავშირო შეკრებას უმასპინძლა, რომლის დასრულებისას კონფერენცია ჩატარდა.**

ანატოლი ხარლამპიევი გამოვიდა მოხსენებით – „თავისუფალი სტილით საბჭოთა ჭიდაობის საფუძვლები". მან განახადა, რომ ახალ ჭიდაობას საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ჭიდაობის ეროვნული სახეობების - ქართულის, თათრულის, ყაზახურის, უზბეკურის, თურქმენულის საუკეთესო ელემენტები.

ქართული ჭიდაობის არსენალში 200-მდე ფანდია აღნუსხული, ოღონდ გულსატკენი ის არის, რომ ჩვენი საუნჯის მსოფლიო არენაზე სათანადოდ გატანა ვერ შევძელით და დღეს ქართული ჭიდაობის ილეთებს ფართოდ იყენებენ შერკინების სხვადასხვა სახეობაში, განსაკუთრებით, სამბოში. ამ სპორტის შექმნის იდეა რუს-ფრანგ მოჭიდავეს, პოლიციის მაიორ ვლადიმირ პოტლიანსკის დაებადა. მან თანამშრომლებისთვის უიარაღოდ ბრძოლის, თავდაცვისა და განიარაღების ფანდების შემუშავება დაიწყო. ორთაბრძოლის ამ მეთოდს „სამბო" უწოდა, რაც „უიარაღოდ თავდაცვას" ნიშნავს. იგი მტკივნეულ ილეთებსა და მოწინააღმდეგის დამორჩილების ხერხებს ასწავლიდა, მაგრამ ესტონეთში, სადაც ცხოვრობდა, მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ. თუმცა მოგვიანებით ამ სახეობამ მაინც გაიკაფა გზა ფართო მასებისკენ.

ჭიდაობა სამბოს დაბადების თარიღად 1938 წლის 16 ოქტომბერი მიიჩნევა, როდესაც საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა განიხილა სპორტის ამ სახეობაზე ანატოლი ხარლამპიევის პროექტი, მოიწონა და გამოსცა ბრძანება N633 „თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარების შესახებ" (ასე ეწოდებოდა სამბოს თავიდან). მასში მითითებულია ჭიდაობის სახეები, რომელთა ილეთებიც საფუძვლად დაედო ახლადდაარსებულ სახეობას. ჩამონათვალი ქართული ჭიდაობით იწყება. საბოლოოდ ჩვენი ეროვნული საუნჯის საუკეთესო ფანდები სამბოს არსენალში აღმოჩნდა [9].

ახალი სახეობის ერთ-ერთი მესაძირკვლე ვასილ ოშჩეპკოვი ქართულ ჭიდაობას ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში უთმობდა განსაკუთრებულ ყურადღებას: იგი საქართველოდან სპეციალურად იწვევდა სპეციალისტებს, ქართული ჭიდაობის ილეთების სურათებსაც კი ითხოვდა. მაგალითად, ოშჩეპკოვის თხოვნით მის მოსწავლე ბორის საგატელიანს (1910-1995) მომავალი წიგნისთვის მოსკოვში ჩაუტანია ქართული ჭიდაობის ფოტოები. რუსი სპეციალისტის ერთ-ერთი შეგირდი ანატოლი ხარლამპიევი კი საგანგებო მისიითაც იმყოფებოდა საქართველოში, რომ ჩვენი ჭიდაობის ილეთები თუ სხვა ნიუანსები დაწვრილებით ჩაეწერა. აღნიშნული კვლევები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ზედამხედველობით ტარდებოდა...

ის, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მეფის მთავრობამ ძალით ვერ მოსპო, მე-20 საუკუნის 30-იანი წლების რუსებმა იოლად წაიღეს და თავიანთ ჭიდაობას დაუდეს საფუძვლად. დღეს კი მსოფლიოს უნდა ვუმტკიცოთ, რომ ეს ფანდი ქართულია და არა – სამბოსი...

თავისუფალ ჭიდაობას ამერიკულს უწოდებენ, რადგან იგი ოკეანისგაღმელებმა გაავრცელეს მთელ მსოფლიოში. ისტორიული წყაროებით კი ირკვევა, რომ ბრიტანეთის იმპერიაში იყო ჭიდაობა, რომელშიც მეტოქეებს ფეხში შესვლის უფლება ჰქონდათ. მის სამშობლოდ ლანკაშირს მიიჩნევენ, რომელიც 1413 წლიდან ბრიტანელ მონარქებს ეკუთვნოდათ. იტყვის დღეს ვინმე, რომ თავისუფალი ჭიდაობის ფესვები ლანკაშირულია?! [10].

ჩვენც ბევრი დავკარგეთ, ქართული ჭიდაობა საერთაშორისო სარბიელზე რომ არ გავიტანეთ! ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ეროვნული საბრძოლო ხელოვნებანი – ძიუდო და კარატე ოლიმპიურ სახეობებად ექციათ, სუმოში კი მთელი მსოფლიოდან მიიზიდეს საუკეთესო ფალავნები. მართალია, იმპერატორის თასს ხშირად უცხოელები ისაკუთრებენ, მაგრამ იაპონურ სუმოს ამით არაფერი დაჰკლებია. ყაზახები, უზბეკები, ირანელები, თურქები თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები ეროვნულ ჭიდაობებში მსოფლიოს ჩემპიონატების ჩასატარებლად კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ.

**ვაჟა დანელია,**
**სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

(დასასრული მორიგ ნომერში)

# გავტეხავთ ნავსს?

**ზაფხულის ტესტ-მატჩებს გორჯღალოსნები თბილისში, ირლანდიასთან ჯახით 5 ივლისს გახსნიან. ტიერ1-ის მესამე გუნდი (შოტლანდიის და იტალიის შემდეგ), რომელიც საქართველოში ჩამოვა, მასპინძლებს „მიხეილ მესხზე“ 21 საათზე შეერკინება.**

ზაფხულში **რიჩარდ კოკერილის** შეგირდებს ორი უმაღლესი დონის ტესტ-მატჩი ელით. ირლანდიელებთან ჯახის შემდეგ ისინი სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრებიან და 12 ივლისს ბლუმფონტეინში ადგილობრივ ფრენჩაიზ „ტოიოტა ჩიტასს“ ეთამაშებიან, 19-ში კი ნელსპრუიტში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, სამხრეთ აფრიკის წინაშე „მბომბელას“ სტადიონზე წარსდგებიან.




ირლანდიელებთან აქამდე 5-ჯერ გვითამაშია და ჯერჯერობით მეტოქე სრულ უპირატესობას ფლობს. „სამყურებს“ პირველად 1998 წელს, 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე ვეთამაშეთ. მეტოქემ დუბლინში 70:0 იმარჯვა. 4 წლის შემდეგ ირლანდიამ კვლავ დუბლინში, მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი 63:14 მოიგო. 2007 წლის მსოფლიო თასზე ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი დავაფიქსირეთ. ირლანდიელებმა დიდი ძალისხმევით 14:10 მოიგეს და ამ შეხვედრაში საქართველომ მსოფლიო თასზე პირველი (ნუგეშ)-ქულა მოიპოვა. მას შემდეგ ირლანდიას დუბლინში კიდევ ორჯერ ვეთამაშეთ. 2014 წელს მასპინძლებმა ტესტ-მატჩში 49:7 გაიმარჯვეს, 2020 წელს კი 23:10 მოიგეს.

**„ირლანდიასთან ტესტის ოფიციალურად დადასტურება ძალიან კარგი სიახლეა. წელს საუკეთესო ზაფხულის ტესტები გველის – 2 ყველაზე ძლიერ გუნდთან, რაც სარაგბო ერების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს“** – განაცხადა რიჩარდ კოკერილმა.

ირლანდია ექვსი ერის 24-გზის გამარჯვებულია. ბოლო ორი ტიტული მან 2023 და 2024 წლებში შემართა, წელს კი პირველობა საფრანგეთს დაუთმო. მიუხედავად ამისა, მსოფლიო რეიტინგში ის ევროპულ გუნდებს შორის საუკეთესო, მესამე ადგილს იკავებს. პირველ ადგილზე სამხრეთ აფრიკაა, მეორეზე კი ახალი ზელანდია.

# ისევ ომალი

**UFC-ის ისტორიაში პირველი ქართული საჩემპიონო რემატჩი გაიმართება, სადაც მერაბ დვალიშვილის მეტოქე შონ ომალი იქნება.**

დაპირისპირებაში 7 ივნისს (საქართველოს დროით 8 ივნისს) ნიუჯერსიში „მანქანა“ საჩემპიონო ქამრის დაცვას მე-2 შეეცდება. გეტყვით, რომ მერაბ დვალიშვილმა სუპერმსუბუქი დივიზიონის საჩემპიონო ქამარი სწორედ შონ ომალის ცემის შემდეგ მოიპოვა, შემდეგ კი, იყო უმარ ნურმაგომედოვი, რომელიც ქართველმა 19 იანვარს მსაჯების გადაწყვეტილებით დაამარცხა.

# მე-100 გადაიდო

**ლეგენდარული სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი ახლოს იყო კარიერის მე-100 ტურნირის ტიტულსა და რეკორდულ, მე-7 მაიამის მასტერსის თასთან, თუმცა ფინალურ დაპირისპირებაში 19 წლის ჩეხ იაკუბ მენშიკთან ორ სეტში დამარცხდა.**

ახალგაზრდა ჩოგბურთელმა ჯოკოვიჩს 7:6, 7:6 მოუგო და კარიერაში პირველი მასტერსის წოდება მოიპოვა. მენშიკმა მატჩის განმავლობაში 14 ეისი შეასრულა და გადამწყვეტ მომენტებში სტაბილურობა გამოავლინა, რამაც მის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა.

# ამჯერად — ფინალამდე

**ამ დღეებში ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ სამშობლოში ვასილ ხაჩიძის გაწვრთნილი ბავშვთა საფეხბურთო კლუბ ვიკინგების 11-წლამდელთა გუნდის წევრები, რომლებმაც ლიეტუვაში გამართულ ატლეტის თასზე მესამედ ითამაშეს.**

პირველად ქართველმა სტუმრებმა აღნიშნულ პრესტიჟულ ტურნირზე ჯგუფიდან გასვლა ვერ შეძლეს, შარშან პლეი-ოფში დამარცხდნენ მილანის თანატოლებთან და აი, წლეულს უკვე ფინალამდე მიაღწიეს, სადაც ღირსეული ბრძოლა გაუმართეს პარმას და მხოლოდ პენალტების სერიაში დათმეს ტიტული.

მიაქცევდით ალბათ ყურადღებას იმ ევროპული გრანდების ჩამონათვალს, რომელთა აკადემიებიც ტრადიციულად იკრიბებიან ბალტიისპირეთში, ამიტომ კავკასიელ მოზარდთა პროგრესი საფუძვლიანი ოპტიმიზმით წარმოგვიჩენს მათ პერსპექტივას.





6 აპრილს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს მარიამ მეგვიპტელს, რომლის ტროპარიც ასე იგალობება: **„მეძავობათა მიერ პირველ აღსავსე მრავალ სახეთა სძლად წმიდად ქრისტესა დღეს სინანულითა შეწყნარებულ იქნა ანგელოზთა მოქალაქობითა და მიმსგავსებული ეშმაკთა ჯვარითასა საჭურველითა უჩინო ჰყოპს; ამისთვის მეუფისა გამოჩნდა სძლად მარიამ დიდებული (მეგვიპტელი)“.**

## დიდმარხვის მეხუთე შვიდეული

# ღირსი მარიამ მეგვიპტელი

ცნობილია, რომ გარემოებათა დამთხვევით მარიამი წმიდა მიწაზე მიმავალ მომლოცველთა ჯგუფს შეუერთდა. მომლოცველებთან ერთად გემით მიმავალი, მარიამი იქაც აცდუნებდა კაცებს და მეძავობდა. იერუსალიმში ჩასული, იგი ქრისტეს აღდგომის ტაძრისკენ მიმავალ მომლოცველებს შეუერთდა. ადამიანები ჯგუფებად შედიოდნენ ტაძარში, მარიამი კი უხილავმა ძალამ შეაჩერა და ვერანაირად შიგ შესვლა ვერ შეძლო... მაგრამ შესასვლელთან ღვთისმშობლის ხატის ხილვისას, მარიამმა ღმრთის წინაშე შუამდგომლობა სთხოვა.

ამის შემდეგ მან მაშინვე სულში სინათლე იგრძნო და ტაძარში დაუბრკოლებლად შევიდა. უფლის საფლავთან ცრემლების ღვრის შემდეგ, იგი ტაძრიდან სულ სხვა ადამიანად გამოვიდა.

**...ღვთის შეწევნით, ასე იქცა ღირსი მარიამი უდიდესი ცოდვილიდან უდიდეს წმინდანად.**

გიული ლიპარტია



## სოზარ სუბარი:

# მხედრიონ-გვარდიას გადაურჩით, კეზერაშვილ-ხაზარაძეს კი — ვერა!



**„ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს ბიზნესის დატერორებასთან „თი-ბი-სი“ ჯგუფის ხელმძღვანელის მამუკა ხაზარაძის უშუალო შეხებაზე ისაუბრეს დღეს 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, სადაც ლისის ტბის ყოფილი მფლობელის რამაზ ახვლედიანის საქმე განიხილეს, რომელსაც რეჟიმის დროს საკუთარი ბიზნესის მამუკა ხაზარაძის სასარგებლოდ დათმობა აიძულეს.**

დაზარალებულის მხრიდან ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის მდივანმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა სოზარ სუბარმა გასული საუკუნის 90-იან წლების დროს გავრცელებული ტერორის ფორმა გაიხსენა და ხაზარაძეც ამ კონტექსტში ახსენა, როცა რამაზ ახვლედიანს მიმართა. **„გამოდის, რომ მხედრიონ-გვარდიას გადაურჩით, კეზერაშვილ-ხაზარაძეს კი – ვერა!“**, – განაცხადა **სოზარ სუბარმა...**



# ხობში 25 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს

**ტრაგედია ხობის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. 25 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს.**

როგორც ადგილობრივი ყვება, ახალგაზრდა კაცის ცხედარი მდინარესთან იპოვეს. ის სოფელ ხამისკურიდან იყო. გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

# თბილისში არალეგალური სასაკლაო გამოავლინეს!

**სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა, ჩატარებული მოკვლევის შედეგად, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, სოფელ შინდისში, ფიზიკური პირი ბაადურ მეზურნიშვილის კუთვნილ ობიექტზე, გამოავლინეს ცხოველთა არალეგალური სასაკლაო,** – ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.



**„კუსტარულად მოწყობილ ობიექტზე, სანიტარიული-ჰიგიენური ნორმების უხეში დარღვევით ხორციელდებოდა ცხოველების დაკვლა რეალიზაციის მიზნით. შემოწმების პროცესში გამოვლინდა 600 კგ-მდე საქონლისა და 200 კგ-მდე ცხვრის ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე დაკლული, გაურკვეველი წარმომავლობის ხორცი.**

**გამოვლენილ დარღვევებზე გატარდა კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება – ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო დალუქული ხორცი განადგურდება სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნული სააგენტო მოკვლევას განაგრძობს“.**

# თბილისში ორი ახალი მეტრო-სადგურის მშენებლობა იგეგმება...

**„თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ მეტროსადგურების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მშენებლობის შესყიდვის თაობაზე ე.წ. Design-Build მეთოდით ბაზრის კვლევას ატარებს.**

**დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ჯამში 4 სადგურის დაპროექტება უნდა განხორციელდეს, აქედან გათვალისწინებულია 2 ახალი, 2 არსებული მეტროსადგურების – ვარკეთილისა და გლდანის მიმართულებით – პროექტირება.**

**ამასთან, ტექნიკური დავალების თანახმად, ერთი მეტროსადგური დაემატება გლდანის, მეორე კი ვარკეთილის მიმართულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მეტროს ხაზის დაგრძელების სავარაუდო ჯამური სიგრძე 5.2 კმ იქნება, მათ შორის გლდანის მიმართულებით 2.2 კმ, ხოლო ვარკეთილის მიმართულებით 3 კმ.**

**პროექტის განხორციელების საორიენტაციო ვადა ხუთ წელს შეადგენს, სამუშაოები რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელდეს.**

**ამასთან, რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, პროექტისთვის 2025 წელს ბიუჯეტი გათვალისწინებული არ არის, 2026 და 2027 წელს კი იგეგმება 15-15 ანუ ჯამში, 30 მლნ აშშ დოლარის დახარჯვა.**

# ბელა მირიანაშვილის დაბადების დღე და ფილმების აფიშები

**ბელა მირიანაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა აქვეყნებს აფიშებს: „დღე უკანასკნელი დღე პირველი" და „საბუდარელი ჭაბუკი".**

აფიშები დაცულია ეროვნული ბიბლიოთეკის აფიშებისა და პლაკატების კოლექციაში.

1 აპრილს დაიბადა ამ ფილმების მთავარი გმირი, განუმეორებელი ბელა მირიანაშვილი.





# კულტურის ისტორიის მუზეუმმა პეტრე ოცხელის უნიკალური ესკიზი მიიღო საჩუქრად

**ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმმა, ქართული ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის – პეტრე ოცხელის დღემდე უცნობი, თოჯინების თეატრის უნიკალური ესკიზი, თეჯირის პირველი ვარიანტი მიიღო საჩუქრად, რომელიც მისი პირველი ნამუშევარია თოჯინების თეატრში.**

ხელოვნების სასახლის ინფორმაციით, პეტრე ოცხელის ეს ნამუშევარი ხელოვნების სასახლეს საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებამ გადასცა.

**„განსაკუთრებული მადლობა, ზემოხსენებული თეატრის წარმომადგენლებს, მუზეუმის მეგობრებს, ნიკოლოზ საბაშვილს, კონსტანტინე ქარქაშაძესა და ნერონ აბულაძეს, აგრეთვე, დიდი მადლობა ხელოვნების სასახლის თანამშრომლებს ნინო თოდუასა და ლელო ჭიჭინაძეს"**, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ზესტაფონი მუსიკის მეცხრე ეროვნულ კონკურსს მასპინძლობს

**„ზესტაფონის ხელოვნების სკოლა, ქართული კლასიკური მუსიკის მეცხრე ეროვნულ კონკურსს მასპინძლობს,"** – ამის შესახებ ინფორმაციას ზესტაფონის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები" მესამე წელია იმართება მუნიციპალიტეტის ე.შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში. კონკურსში მონაწილეობას სხვადასხვა რეგიონის 16 ქალაქის, 26 სამუსიკო სკოლის 185 მოსწავლე იღებს.

**„კლასიკური მუსიკის კონკურსის საზეიმო გახსნას ზესტაფონის მერი ვასილ გველესიანი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მერმა მონაწილეებს კონკურსის გახსნა მიულოცა და ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა.**

**კლასიკური მუსიკის კონკურსის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ: ვალერიან შიუკაშვილი, თამარ ლიჩელი, ლიზა რამიშვილი, დავით ალადაშვილი, ნათია ქავთარაძე, ნოდარ მდივანი, გოჩა დათუსანი, გიორგი ხაინდრავა. „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები" ცნობილი ქართველი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ინიციატივით იმართება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში და ის რეგიონებში ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას ემსახურება.**



# გივი კოლელიშვილის სოლო გამოფენა

**2 აპრილს, გივი კოლელიშვილის სოლო გამოფენა გაიხსნა. „გამოჩენა" – ამ სახელწოდებით გამოიფინა „სტუდიო არტ" გალერეაში გივი კოლელიშვილის შემოქმედება.**

ამ სახელწოდებით ხაზგასმულია არა მარტო ავტორის ნამუშევრების, არამედ თავად მხატვრის პიროვნება.

დიდი ცნობადობის მიუხედავად, საქართველოს მასშტაბით პირველად ეწყობა გივი კოლელიშვილის საზოგადოებრივი გამოფენა, სადაც მისი ხასიათისა და ხელოვნების უკეთ შეცნობის შესაძლებლობა ეძლევა დამთვალიერებელს".




# სემ მენდესი Beatles-ზე ოთხი ფილმის გადაღებას გეგმავს

**რეჟისორი ფილმებში ჯგუფის თითოეული წევრის მიერ დანახულ The Beatles-ის ისტორიის გადმოცემას აპირებს.**



მენდესის თქმით, ჯონ ლენონის როლს **ჰარის დიკინსონი** შეასრულებს, პოლ მაკკარტნის – **პოლ მესკალი,** რინგო სტარის როლს **ბარი კეოგანი** მოირგებს, ჯორჯ ჰარისონისას კი **ჯოზეფ ქუინი.**

დიკინსონი ცნობილია ფილმით „Babygirl", მესკალმა კი ცოტა ხნის წინ „გლადიატორ 2"-ში ითამაშა. კეოგანმა „ინიშერინის სულებში" ითამაშა, ქუინმა კი პოპულარულ სერიალში – „უცნაური ამბები".

მენდესის თქმით, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის შესასწავლი, როდესაც საქმე ასეთ ლეგენდარულ ჯგუფს ეხება. ოთხივე ფილმის პრემიერა 2028 წლისთვის არის დაგეგმილი.

**„სიმართლე გითხრათ, ჩვენ ძალიან დიდი კინემატოგრაფიული მოვლენა გვჭირდება, რათა ადამიანები სახლებიდან გამოვიყვანოთ",** – განაცხადა მენდესმა. „ამერიკული სილამაზის" რეჟისორს ჯგუფის წევრების ცხოვრებაზე და მათ შემოქმედებაზე სრული წვდომა ექნება.

# იპოვეს 3800-წლიანი ამულეტი

**3 წლის გოგონას ოჯახი ისრაელის ისტორიული ნაწილის დასათვალიერებლად გაემგზავრა, სადაც გოგონამ სეირნობისას 3800წლიანი ამულეტი-სკარაბი იპოვა.**

ოჯახმა ნაპოვნი ნივთი სპეციალისტებს აჩვენა. მათ დაადგინეს, რომ ქანაანის ამულეტი შუა ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის. ქანაანი მოიცავდა დღევანდელი ისრაელის ნაწილს, პალესტინას, ლიბანს, იორდანიას და სირიის დასავლეთ ნაწილს. ამ პერიოდში სკარაბს ამულეტისა და ბეჭდის სახით იყენებდნენ.

მათ პოულობდნენ სამარხებში, საზოგადოებრივ შენობებში და კერძო სახლებში. ზოგჯერ მათზე სიმბოლოები და შეტყობინებები იყო ამოტვიფრული, რომლებიც რელიგიურ შეხედულებებსა და სტატუსს ასახავდნენ. ამულეტი-სკარაბი ძველი ეგვიპტელებისგან მოდის. მათთვის ხოჭო მზის ღმერთის სიმბოლო იყო. 3 წლის გოგონას მიერ ნაპოვნი ამულეტი-სკარაბი ისრაელის არქეოლოგიის ეროვნულ მუზეუმში სხვა არტეფაქტებთან ერთად იქნება წარმოდგენილი.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 აპრილს**